ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სოციოლოგია

თამარი ფოცხვერაშვილი

სტუდენტთა დასაქმების გავლენა მათ აკადემიურ მოსწრებაზე (თსუ-ის სტუდენტების მაგალითზე)

ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლია წულაძე
ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2023

ანოტაცია

დღესდღეობით საქართველოში დასაქმებულ სტუდენტთა რიცხვი უფრო და უფრო მეტად იზრდება. ეს ძირითად შემთხვევაში მატერიალური თვალსაზრისით არის განპირობებული. თუმცა სხვა საკითხია ის, თუ რამდენად ახდენს გავლენას სტუდენტთა დასაქმება მათ აკადემიურ მოსწრებაზე. ერთი მხრივ, სტუდენტის მიერ სამსახურისთვის დათმობილი დრო და ენერგია, შეიძლება სწავლისთვის მოკლებულ ამ რესურსებს გულისხმობდეს.

ბუნებრივია, რომ სწავლის პარალელურად დასაქმების დროს სტუდენტები თავიანთ დროსა და ენერგიას უკვე ორ მნიშვნელოვან საქმეზე ანაწილებენ. საინტერესოა, როგორ შეიძლება ამ ორი საქმიანობის დარეგულირება, რომელი გრაფიკით მუშაობაა ოპტიმალური სტუდენტისთვის საუკეთესო შედეგის მისაღებად და რამდენად განსხვავდება ონლაინ და აუდიტორიული სწავლების პირობებში დასაქმება აკადემიურ მოსწრებაზე გავლენის თვალსაზრისით. სწორედ ამ ყველაფრის დადგენას ისახავდა მიზნად წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომი, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ორი ფოკუსჯგუფი თსუ-ს ბაკალავრიატის დასაქმებულ სტუდენტთა მონაწილეობით. კვლევის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა ტენდენცია, თუ რა როლს თამაშობს დასაქმება სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე, რამდენად განსხვავდება აუდიტორიული და ონლაინ სწავლების პირობებში დასაქმების გავლენები სტუდენტთა საუნივერსიტეტო საქმიანობაზე. ამასთან, კვლევის შედეგები იძლევა დასაქმების გრაფიკთა დიფერენციაციის საშუალებას იმის მიხედვით, თუ რომელია ოპტიმალური სწავლასთან შეთავსების თვალსაზრისით.

სარჩევი

თავი 1. შესავალი 1

1.1 საკვლევი პრობლემის აქტუალობა 1

1.2 კვლევის მიზანი და ამოცანები 5

1.3 კვლევის ჰიპოთეზა 5

1.4 შერჩევა 6

1.5 მონაცემების მოპოვებისა და ანალიზის მეთოდები 6

1.6 კვლევის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა 7

1.7 კვლევის შეზღუდვები 7

თავი 2. ლიტერატურის მიმოხილვა 8

თავი 3. კვლევის შედეგები 17

თავი 4. დასკვნა 37

გამოყენებული ლიტერატურა 41

თავი 1. შესავალი

1.1 საკვლევი პრობლემის აქტუალობა

დღეს მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც საკმაოდ გავრცელებულია ის ფენომენი, რომ ხშირად სტუდენტებს სწავლის პარალელურად სხვადასხვა სამსახურში უწევთ დასაქმება. ეს სხვადასხვა მიზეზით ხდება. სამსახურის და შემოსავლის ქონა, ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილებასთან არის დაკავშირებული, მათ შორის, სდუდენტთა უმეტესობას სწავლის გადასახადის დაფარვა სწორედ ამ გზით უწევს. 2008 წელს ინგლისის ერთ-ერთ უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევის თანახმად, იმ სტუდენტთა ნახევარზე მეტი, რომლებიც სწავლის პარალელურად იყვნენ დასაქმებულები, ამას ცხოვრების ბაზისური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აკეთებდნენ (Holmes, 2008, 305-314).

აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა უმეტესი ნაწილი ისეთ სამსახურებში საქმდება, სადაც არ ითხოვენ კვალიფიციურ შრომასა და გამოცდილებას, ვინაიდან მათ პროფესიის დაუფლებამდე არც დიდი სამუშაო გამოცდილება გააჩნიათ და არც თავიანთი ცოდნის დამამტკიცებელი საბუთი - დიპლომი. შესაბამისად, მსგავსი არაკვალიფიციური და არასპეციალიზებული სამსახურის არჩევა შეიძლება დავაკავშიროთ იმასთან, რომ სტუდენტთა ძირითად ინტერესს ფინანსური სარგებელი წარმოადგენს და პროფესიული გამოცდილების დაგროვებას ისინი მსგავს სამსახურში ვერ მოახერხებენ. იმის ფონზე, რომ სტუდენტისთვის ძირითადი საქმიანობა უნივერსიტეტში სწავლაა, საინტერესოა, როგორ მოქმედებს სამსახურის ქონა ამ საქმიანობაზე. ეს საკითხი საკამათო შეიძლება იყოს. ერთის მხრივ, შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ ეხმარება სამსახურისთვის და უნივერსიტეტისთვის დროის განაწილება სტუდენტს დროის მენეჯმენტის უნარების განვითარებაში. ასევე შეგვიძლია ვთქვათ ისიც, რომ სამსახურის ქონა სტუდენტის ფინანსურ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს. თუმცა, მეორე მხრივ, საკმათოა ის საკითხი, თუ როგორ მოქმედებს ეს სტუდენტთა სწავლის ხარისხზე და, საბოლოო ჯამში, როგორ აისახება მათ GPA-ზე. 2009 წელს, ვაშინგტონში ჩატარებული კვლევის თანახმად, კვირაში 20 საათზე მეტ მუშაობასა და სტუდენტთა ქულებს შორის დაფიქსირდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უარყოფითი კავშირი,

რაც ასევე სტუდენტთა ჩართულობის დონეზეც უარყოფითად აისხებოდა (Pike, Kuh, Massa-McKinley, 2009, 560-582).

იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო კვლევების უმეტესი ნაწილი საუბრობს იმაზე, თუ როგორი უარყოფითი გავლენა შეიძლება ჰქონდეს დასაქმებას სწავლის პარალელურად, გვაქვს ის გამოცდილებაც, თუ რა დადებითი ასპექტები აქვს სამსახურისა და სწავლის ერთმანეთთან შეთავსებას. ეს ყველაფერი კი შეიძლება გამოიხატოს ფინანსურ დამოუკიდებლობაში, დროის მენეჯმენტის უნარების განვითარებაში და სოციალური კაპიტალის გაფართოებაში (Tessema, Ready, Astani, 2014).

2014 წელს აშშ-ში ჩატარებული კვლევის თანახმად, დასაქმებულ და დაუსაქმებელ სტუდენტთა GPA-ს შორის საოცრად მცირე განსხვავებებია. ამ კვლევაში ყველაზე საინტერესო ისაა, რომ სწავლის პარალელურად დასაქმებას პოზიტიური ეფექტი აქვს აკადემიურ მოსწრებაზე, თუ სტუდენტი კვირაში მაქსიმუმ 10 საათს მუშაობს. ხოლო 10-ზე მეტი საათის მუშაობის შემთხვევაში, პოზიტიური ეფექტები ქრება, იმის მიუხედავად, რომ ეს განსხვავება ძალიან მცირეა (Tessema, Ready, Astani, 2014). ამგვარი შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტთა დასაქმება სრულ და ნახევარ განაკვეთზე განსხვავებულად აისახება მათ აკადემიურ მოსწრებაზე. საინტერესოა ისიც, თუ რა გავლენები შეიძლება ჰქონდეს ე.წ. მცოცავ გრაფიკს სტუდენტთა აკადემიურ ცხოვრებაზე. მცოცავი გრაფიკი გულისხმობს იმგვარ სამუშაო გრაფიკს, როცა დასაქმებულს არ უწევს კონკრეტულ დღესა და კონკრეტულ დროს სამსახურში მისვლა და ის თავის გრაფიკს ნაწილობრივ თავადვე განსაზღვრავს, იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას დამსაქმებელი იძლევა. ნამდვილად საინტერესოა ის, თუ რამდენადაა შესაძლებელი სამსახურისა და ლექცია/სემინარების ერთმანეთთან შეთავსება, როცა ამგვარი გრაფიკით აქვს სტუდენტს მუშაობის შესაძლებლობა და ამავე დროს, ჩვენთვის ცნობილია ის ფაქტიც, რომ თსუ-ში სტუდენტს თავისი ცხრილის შედგენა თავად შეუძლია.

მსგავსი დასკვნების არსებობის შემთხვევაში, საინტერესოა, ქართულ რეალობაში როგორ შედეგებს მივიღებთ ამ კვლევის ჩატარების შემდეგ. სრულ განაკვეთზე მუშაობა კვირაში 32-40 საათს გულისხმობს. სტუდენტთა შემთხვევაში სრულ განაკვეთზე

მუშაობა სწორედ ამიტომ შეიძლება სირთულეებთან ასოცირდებოდეს. მაალითად, ასეთია ლექციებისა და სამუშაო საათების გადაფარვა. საინტერესოა ის საკითხიც, თუ რა ხდება ასეთ დროს? როგორ ხდება პრიორიტეტების დადგენა სტუდენტთა მიერ? ნახევარ განაკვეთზე მუშაობის დროს კი, დასაქმებულს გაცილებით ნაკლები დროის გატარება უწევს სამსახურში. თუმცა, ასეთ შემთხვევაში იკვეთება არა დროის, არამედ ფინასების საკითხი. საქართველოში არაკვალიფიციურ სამსახურში დასაქმებულთათვის ყოველთვიური ანაზღაურება არ წარმოადგენს საკმაოდ დიდი რაოდენობის თანხას, რაც შესაბამისად, ნახევარ განაკვეთზე მუშაობისას ნახევრდება. არანაკლებ საინტერესოა იმის გაგება, თუ რამდენად ხელსაყრელია მსგავსი ანაზღაურებით მუშაობა ან რამდენად დამაკმაყოფილებელია ეს სტუდენტისთვის? ანუ, ერთი მხრივ, უნივერსიტეტისთვის დათმობილი მეტი დრო და, მეორე მხრივ, შემცირებული ანაზღაურება.

სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია აღმოვაჩინოთ ის განსხვავებები თუ მსგავსებები, რომლებიც სრულ და ნახევარ განაკვეთზე დასაქმებულ სტუდენტთა შორის იკვეთება, გავაკეთოთ ამ ყველაფრის ანალიზი და ვნახოთ, თუ როგორ ისახება ეს ყველაფერი დასაქმებულ სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე.

არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტიც, რომ სტუდენტებისთვის სამუშაოდ ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი გრაფიკი არის ე.წ. „მცოცავი გრაფიკი“. ეს წარმოადგენს არასტანდარტულ გრაფიკს, როცა განსაზღვრულ დღეს სტუდენტს უწევს მუშაობა და განსაზღვრულ დღეს დასვენება, თუმცა ამ დღეების ცვლილება პერიოდულად ხდება. მაგალითად, როცა სტუდენტი სამი დღე მუშაობს და სამი დღე ისვენებს, ასეთ დროს მისი სამუშაო და დასვენების დღეები არ არის ზუსტად განსაზღვრული და არ შეესაბამება სტანდარტულ სამუშაო გრაფიკს, როცა კვირაში 5 დღე დასაქმებულმა უნდა იმუშაოს და 2 დღე, შაბათს და კვირას დაისვენოს. ასეთი გრაფიკით მუშაობის დროს უფრო მარტივია ცვლების გადაცვლაც (თუ დამსაქმებელი იძლევა ამის საშუალებას), რაც უფრო მეტად ხელსაყრელს ხდის მუშაობას სტუდენტისთვის.

ცნობილია, რომ ქართველ სტუდენტთა გარკვეული ნაწილისთვის გამოსავალი საღამოს/ღამის ცვლაში მუშაობაა, როცა სამსახურისა და ლექციების გადაფარვა ხდება. ვინაიდან ლექციების პროცესი ძირითადად დღის განმავლობაში წარიმართება,

სტუდენტი ირჩევს საღამოს ან ღამით მუშაობას, რაც მას ამ ორი საქმიანობის დროის გადაფარვის პრობლემას უხსნის. თუმცა, რა სირთულეებთან ასოცირდება ამგვარი გადაწყვეტილების მიღება, ეს ცალკე საკითხია.

„არასასწავლო საქმიანობაზე დიდი დატვირთვა ხელს უშლის სტუდენტების სასწავლო პროცესში სათანადო ჩართულობას. ძილის დარღვევა უარყოფითად ზემოქმედებს სტუდენტების ჯანმრთელობასა და ფსიქიკურ მდგომარეობაზე“ (ვერულავა, ჯოლბორდი, 2018). ერთ-ერთი ქართული კვლევის მიხედვით, სწორედ იმაზე მახვილდება ყურადღება, თუ რა უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს მუშაობას, განსაკუთრებით, ღამის ცვლაში მუშაობას, სტუდენტთა ჯანმრთელობასა და მათ აკადემიურ ჩართულობაზე.

ამასთან, არ შეიძლება არ ვახსენოთ ის საკითხი, რომ წინა წლებში სტუდენტები სასწავლო პროცესს დისტანციურად ესწრებოდნენ. 2020 წელს მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობის გამო, ქართულმა უნივერსიტეტებმა და მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სწავლების ძირითად ფორმატად დისტანციური სწავლება აირჩია. ეს ბევრი სტუდენტისთვის გახდა შესაძლებლობა, რომ უფრო მარტივად დასაქმებულიყვნენ. დისტანციური სწავლების შედეგად გაჩენილი დამატებითი დროის ფონზე, სწავლების პარალელურად დასაქმება უფრო მარტივი გახდა. საინტერესოა, რამდენად უწყობდა დისტანციური სწავლება ხელს კოვიდის პერიოდში სტუდენტთა დასაქმებას ისე, რომ მათი სწავლების ხარისხი დაბლა არ დაწეულიყო და როგორ შეიცვალა ეს ყველაფერი, როცა 2022 წლის მაისში სწავლა აუდიტორიებში განახლდა. რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდენენ ამ დროს სტუდენტები, მოუწიათ თუ არა სამსახურების დატოვება ან ნახევარ განაკვეთზე გადასვლა, როგორ დაალაგეს პრიორიტეტები და, რაც მთავარია, რა გავლენები ჰქონდა ამ ყველაფერს მათ აკადემიურ მოსწრებაზე.

1.2 კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია იმის გაგება, თუ რა გავლენა აქვს სწავლისა და დასაქმების შეთავსებას სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე და მათ აკადემიურ ჩართულობაზე სრულ და ნახევარ განაკვეთზე მუშაობისას და ე.წ. მცოცავი გრაფიკის შემთხვევაში.

დასახული მიზნის მისაღწევად დასმულია შემდეგი ამოცანები:

- ვიკვლიოთ, რა დაბრკოლებებს აწყდებიან სტუდენტები სწავლის პროცესში, როცა პარალელურად სრულ/ნახევარ განაკვეთზე და მცოცავი გრაფიკით არიან დასაქმებულნი.
- იმის კვლევა, თუ რა ცვლილებებს აქვს დგილი აკადემიურ ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც სტუდენტი სამსახურს იწყებს. როგორ განსხვავდება ეს ცვლილებები სრულ, ნახევარ და მცოცავი გრაფიკით მუშაობის შემთხვევაში.
- ვიკვლიოთ სტუდენტთა გამოცდილებები სრულ/ნახევარ განაკვეთზე და მცოცავი გრაფიკით მუშაობასა და სწავლის შეთავსებასთან დაკავშირებით, დისტანციური და აუდიტორიული სწავლების პერიოდში.

1.3 კვლევის ჰიპოთეზა

ვარაუდის გამოთქმისას მინდა დავეყრდნო არსებულ კვლევებსა და სტატიებს და ასევე ქართველ სტუდენტთა გამოცდილებას. ვვარაუდობ, რომ სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე სწავლის პარალელურად სრულ განაკვეთზე დასაქმება, უარყოფით ზეგავლენას ახდენს და მათი სწავლების ხარისხს დაბლა სწევს, გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტები უმეტეს დროსა და ენერგიას სამსახურს უთმობენ და არა - სწავლას. ამასთან, იმ სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, რომლებიც არა სრულ, არამედ ნახევარ განაკვეთზე მუშაობენ, არ იცვლება უარესობისკენ, რადგან მათ საკმაო დრო რჩებათ იმისთვის, რომ სრულყოფილად იზრუნონ თავიანთ აკადემიურ მოსწრებაზე და ჩართულობაზე. რაც შეეხება მცოცავი გრაფიკით მუშაობას, სტუდენტები მეტ-ნაკლებად ახერხებენ სწავლისა და სამსახურის ისე გადანაწილებას, რომ მოახერხონ ორივე საქმიანობის სრულყოფილად შესრულება, რადგან მოძრავი გრაფიკი ამის საშუალებას იძლევა.

1.4 შერჩევა

კვლევის სამიზნე ჯგუფად შეირჩა თბილისის სახლემწიფო უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტები, რომლებიც პარალელურად დასაქმებულნი არიან სრულ, ნახევარ განაკვეთზე და მუშაობენ მცოცავი გრაფიკით. საუბარია სტუდენტებზე, რომლებიც დასაქმებულნი არ არიან იმ პროფესიით, რომელსაც უნივერსიტეტში სწავლობენ და ასევე გააჩნიათ ონლაინ და აუდიტორიული სწავლების პერიოდში მუშაობის გამოცდილება. შერჩევის ბაზად გამოვიყენებ თსუ-ის სხვადასხვა ფაკულტეტის Facebook ჯგუფებს, სადაც გაწევრიანებულია სტუდენტთა უმეტესი ნაწილი. კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, მივმართავ შერჩევის დეტერმინირებულ (არაალბათურ) მეთოდს, კერძოდ, მიზნობრივ (შეფასებით) შერჩევას. ანუ მოხდება იმ რესპონდენტთა შერჩევა, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ საკვლევი პრობლემა. სულ შეირჩევა 10-16 რესპონდენტი, რომლებიც ფოკუსჯგუფებში მიიღებენ მონაწილეობას. რესპონდენტთა ოპტიმალური რაოდენობა თითოეულ ჩატარებულ ფოკუსჯგუფში განისაზღვრება 5-8 ადამიანით, სულ ჩატარდება ორი სესია.

1.5 მონაცემების მოპოვებისა და ანალიზის მეთოდები

გადავწყვიტე, მონაცემები ფოკუსჯგუფის მეთოდის გამოყენებით მოვიპოვო. აღნიშნული საკითხი საჭიროებს მსჯელობას და დისკუსიას. სხვადასხვა რესპონდენტის გამოცდილებების მოსმენა და მათ შორის აზრების გაცვლა და გაზიარება ფოკუსჯგუფის საშუალებით მიიღწევა. აღნიშნული მეთოდის საშუალებით რესპონდენტები სხვების გამოცდილების (განწყობების, დამოკიდებულებების, ქცევითი მზაობების, შეფასებების, თვალსაზრისების) პარალელურად, გაიხსენებენ თავიანთ გამოცდილებას, ჯგუფის წევრებს შორის შედგება დისკუსიები, მოხდება აზრთა გაცვლა. ეს ყველაფერი დამეხმარება, მივიღო განსხვავებული აზრები და გამოცდილებები რესპონდენტებისგან საკვლევ თემასთან დაკავშირებით. ამასთანავე, მსჯელობისას შეიძლება წამოიჭრას ისეთი საკითხები, რაც კვლევისთვის შეიძლება ძალიან საინტერესო იყოს და მის ისეთ ასპექტებს მოიცავდეს, რაც დამატებით ღირებული ინფორმაციის გაგების საშუალებას მოგვცემს. ამ გზით მეტი სტუდენტისგან უფრო სწრაფად შეიძლება მონაცემების ერთდროულად მოპოვება. ამ ყველაფერთან ერთად, ეს მეთოდი საშუალებას იძლევა,

სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტების გამოცდილება ადგილზევე შევადარო ერთმანეთს და მათ შორის მსგავსება-განსხვავებები დავადგინო.

ტრანსკრიპტების შექმნის შემდეგ კვლევა გაივლის მონაცემთა ანალიზის შემდეგ ეტაპებს:

• მონაცემთა კოდირება, რაც გულისხმობს რესპონდენტების მონათხრობის დაკავშირებას იმ ცნებებთან და კატეგორიებთან, რაც ანგარიშში იქნება წარმოდგენილი;

• მონაცემთა კატეგორიზაცია, რაც გულისხმობს ფოკუსჯუფის მსვლელობისას განხილული მსგავსი თემატური საკითხების კომპილაციას;

• მონაცემთა ლოკალური ინტეგრაცია, რაც გულისხმობს მასალის ორგანიზებასა და ინტეგრირებას ანგარიშის ცალკე სექციებად;

• მონაცემთა ინკლუზიური ინტეგრაცია, რაც გულისხმობს ამ ერთმანეთისგან „იზოლირებული“ საკითხების ერთ ისტორიად, ერთ ტექსტად გაერთიანებას.

1.6 კვლევის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა

რადგან ქართველ სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე დასაქმების ზეგავლენის შესახებ ბევრი კვლევა არ მოიპოვება ქართულ ენაზე, მოცემული კვლევა არსებულ სოციოლოგიურ კვლევებს უახლესი მონაცემებით გაამდიდრებს და შესაძლებელია, რომ მომავალში ამ კვლევის საფუძველზე უფრო ფართომასშტაბიან კვლევებსაც ჩაეყაროს საფუძველი.

1.7 კვლევის შეზღუდვები

კვლევის მთავარი შეზღუდვა ის არის, რომ კვლევა ტარდება მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მაგალითზე. სტუდენტთა დასაქმებისა და მათი აკადემიური მოსწრებას შორის არსებული დამოკიდებულების შესწავლა მოხდება მხოლოდ ამ კონკრეტულ უნივერსიტეტში. მოგეხსენებათ, ეს სახელმწიფო უნივერისტეტია, შესაბამისად, გაურკვეველი დარჩება ის, თუ რა სიტუაციაა ამ მხრივ კერძო უნივერსიტეტებში და საერთოდ არის თუ არა განსხვავება ამ ორს შორის.

კვლევის ერთ-ერთი შეზღუდვა ისიც არის, რომ ფოკუსჯგუფები ჩატარდა დისტანციურად, „ზუმის“ გამოყენებით, რაც ზღუდავს დისკუსიის დროს რესპონდენტის მეტად გახსნასა და ინტერვიუერის მიერ ზონდირების ტექნიკების მეტად გამოყენებას.

თავი 2. ლიტერატურის მიმოხილვა

დასაქმების საკითხი საკმაოდ დიდი როლის მატარებელია ადამიანებისთვის, სწორედ დასაქმება განსაზღვრავს ადამიანის არსებობას და ცხოვრებისთვის აუცილებელი პირობების შენარჩუნებას. დასაქმებას ეხება ისეთი საკითხები როგორებიცაა, შესაბამისი ანაზღაურება, დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობა, სამუშაო დრო და გრაფიკი და სხვ. საქართველოში სამსახურის ქონა ისეთი სოციალური ჯგუფისთვის, რომელიც სტუდენტებისგან შედგება, ძალიან დიდი მნიშვნელობის მატარებელია. უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის პარალელურად დასაქმება ნამდვილად არ წარმოადგენს სიახლეს. ხშირად სტუდენტები სწავლასთან ერთად იძულებულნი არიან ჰქონდეთ სამსახური, რათა ჰქონდეთ პირადი შემოსავალი და ამავე დროს სრულფასოვნად განაგრძონ სწავლა უნივერსიტეტში. ბევრი სტუდენტი არდადეგებზე მუშაობას ირჩევს, როცა უნივერსიტეტში სწავლა დროებით არ უწევს და ამგვარად აბალანსებს ამ ორი საქმიანობის ერთმანეთთან შეთავსებას. თუმცა, სხვა შემთხვევებში, სწორედ სწავლის პარალელურად ხდება მათი დასაქმება. დასაქმების სექტორში სტუდენტებს თავისი ადგილი აქვთ, მათ ის განასხვავებთ, რომ არ აქვთ განათლების სრული კურსი მიღებული, რის გამოც მათ ხშირად ბევრ გამოწვევასთან უწევთ გამკვლავება. რადგან დღეს საქართველოში მსგავსი შემთხვევების რაოდენობა საკმაოდ ბევრია და სტუდენტთა უმეტესი ნაწილი დასაქმებულია სხვადასხვა სამსახურში, საინტერესოა, თუ როგორ ახერხებენ ისინი სწავლებისა და მუშაობის ერთმანეთთან შეთავსებას და რაც მთავარია, რა გავლენა აქვს სტუდენტთა დასაქმებას მათ აკადემიურ მოსწრებასა და ჩართულობაზე.

2021 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ ჩატარებულ კვლევაში, “სტუდენტური დასაქმება და მასთან დაკავშირებული

გამოწვევები”, ვკითხულობთ, რომ მთავარ კითხვაზე, რომელსაც სტუდენტებს უსვამდნენ: სად ხედავთ სტუდენტური დასაქმების პრობლემას? სტუდენტთა უმეტესობამ, 44%-ზე მეტმა დაასახელა სამსახურის სწავლასთან შეთავსების პრობლემა (ცერცვაძე, 2021).

იმის მიუხედავად, რომ ამავე კვლევის მიხედვით, გამოკითხულ დასაქმებულ სტუდენტთა უმეტესი ნაწილი, 70%-ზე მეტი თავს პირველ რიგში სტუდენტად და შემდეგ დასაქმებულად მიიჩნევს, იკვეთება ასეთი რამ, რომ სწავლისა და სამსახურის შეუთავსებლობა გრაფიკის თვალსაზრისით, გარკვეული პრობლემების წარმოქმნას უწყობს ხელს სტუდენტის აკადემიურ საქმიანობაში (ცერცვაძე, 2021).

სტუდენტი არის ის პირი, ვინც სწავლობს კოლეჯში ან უნივერსიტეტში სხვადასხვა პროფესიას. სტუდენტისთვის მთავარი საქმიანობა სწორედ არის ახალი, მისთვის სასურველი პროფესიის შესწავლა. უნივერსიტეტში სწავლა სხვადასხვა აქტივობაში ჩართვას მოითხოვს, მათ შორის, ლექცია/სემინარებზე დასწრებას, ჯგუფური თუ ინდივიდუალური დავალებებისა და აქტივობების შესრულებას, პრეზენტაციების მომზადებას, სხვადასხვა კონფერენციების მოწყობას თუ მათზე დასწრებას, კვლევებისა და რეფერატების მომზადებას, გამოცდებისთვის მომზადებას და მათ ჩაბარებას და ა.შ. ამ ყველაფრის შედეგად ყალიბდება სტუდენტის აკადემიური მოსწრებაც, რომელიც სტუდენტის ცოდნის შეფასების ყველაზე გავრცელებულ საზომს წარმოადგენს. ამ ყველაფერთან ერთად, ამ აქტივობებში სრულყოფილი ჩართულობა მოითხოვს დიდ დროსა და ენერგიას სტუდენტის მხრიდან, კონცენტრაციასა და აკადემიურ საქმიანობებზე ფოკუსირებას. სამსახურის ქონას, რაც გულისხმობს კვირაში მინიმუმ 25 საათის განმავლობაში იმ საქმიანობის შესრულებას, რომელიც შესაბამისი კონტრაქტითაა გათვალისწინებული, სტუდენტის აკადემიური საქმიანობაზე დიდი გავლენა შეიძლება ჰქონდეს. აქ პირველ რიგში მნიშვნელოვანია დროის ფაქტორი.

ამერიკაში 2013 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, არსებობს პოზიტიური დამოკიდებულება სწავლისთვის დათმობილი დროის რაოდენობასა და აკადემიურ მოსწრებას შორის. დღეში 15 წუთით უფრო მეტი დროის დათმობა

აკადემიური საქმიანობისთვის, დაკავშირებულია საერთო აკადემიური მოსწრების ზრდასთან დაახლოებით 1%-ით (Su Jin Jez, Wassmer, 2013).

ამ კვლევის მიხედვით, რაც უფრო მეტ დროს დაუთმობს სტუდენტი დღეში აკადემიურ საქმიანობებს, მისი აკდემიური მოსწრებაც უფრო მეტად გაუმჯობესდება.

ამ შემთხვევაში საინტერესოა, თუ რა სიტუაციაა დასაქმებულ სტუდენთებთან. სამსახურისთვის დათმობილი დრო გულისხმობს თუ არა თავისმხრივ აკადემიური საქმიანობისთვის დათმობილი დროის შემცირებას?

ამ ყველაფრის ფონზე, ჩვენს რეალობაში გვაქვს ასეთი სურათი: სტუდენტი, რომლისთვისაც ძირითად საქმიანობას უნივერსიტეტში სწავლა წარმოადგენს, პარალელურად დასაქმებულია სამსახურში, რომელიც ხშირ შემთხვევაში იმ არაკვალიფიციური საქმიანობის შესრულებას გულისხმობს, რომელიც სტუდენტის ძირითად სასწავლო კურსთან და საერთოდ, აკადემიურ დისციპლინასთან, ახლოსაც არ არის. ეს გულისხმობს ძირითადად ისეთ მომსახურების სფეროებში დასაქმებას, როგორებიცაა: ბარები, რესტორნები, კაფეები, მაღაზიები. ამიტომაც შეიძლება ჩაითვალოს ეს საკითხი ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურად. რის მიხედვით ნაწილდება პრიორიტეტები სტუდენტისთვის? როგორ ხდება არჩევანის გაკეთება? საინტერესოა იმის გაგება, თუ როგორ ახერხებს სტუდენტი სწავლასა და სამსახურს შორის დროის განაწილებას და როგორ იქცევა მაშინ, როცა ამ ორი საქმიანობის აშკარა გადაფარვა ხდება. რის მიხედვით ანიჭებს უპირატესობას სტუდენტი რომელიმე საქმიანობას ისეთ შემთხვევაში, როცა ფიზიკურად არ არსებობს საკმარისი დრო ორივე საქმიანობის სრულყოფილად შესასრულებლად.

2015 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელიც სტუდენტთა დასაქმების პრობლემებს ეხება, გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ „სტუდენტთა დასაქმება სხვა პროფილით, გამოწვეულია მატერიალური პრობლემებით.“ ასევე კვლევის მონაწილეებისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს მათთვის ხელმისაწვდომი სამუშაო პოზიციების პირობები, ამავდროულად მათთვის ერთ-ერთი ყველაზე მეტად პრობლემატური საკითხი სამსახურის სწავლასთან შეთავსებაა. არ არსებობს სამსახური ისეთი

გრაფიკით, ნახევარ განაკვეთზეც კი, ადეკვატური ანაზღაურებით, რომელიც სტუდენტებს სწავლის პროცესში ხელს შეუწყობს (ბარამიძე, აკოფაშვილი, მშვიდობაძე, ბეროშვილი, ქაფიანიძე, ფაღავა, 2015).

რა თქმა უნდა, სამსახურის დაწყების ძირითადი მიზეზი შემოსავლების ქონა და ფინანსური დამოუკიდებლობისკენ სწარფვაა. სტუდენტების მიერ სამსახურში გამომუშავებული თანხა საცხოვრებელ საჭიროებებში, მათ შორის, სწავლის საფასურის გადახდაში იხარჯება. სტუდენტთა უმეტესობისთვის სწორედ სწავლის საფასურის დაფარვა წარმოადგენს სამსახურის ქონის პირველ მიზეზს. ინგლისის ერთ-ერთ უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევის მიხედვითაც, სტუდენტთა უმეტესი ნაწილი, სწორედ ცხოვრებისთვის აუცილებელი ბაზისური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საქმდება. თუმცა, იმავე კვლევის მიხედვით, სტუდენტთა ნახევარზე მეტისთვის, მუშაობას ნეგატიური გავლენა აქვს მათ აკადემიურ მოსწრებაზე (Holmes, 2008, 305-314).

შეგვიძლია ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, თუ რა სარგებელი შეიძლება ჰქონდეს სტუდენტისთვის დასაქმებას. პირველ რიგში, რადგან სტუდენტის მთავარი საქმიანობა არის უნივერსიტეტში სწავლა, შესაბამისად, ის სხვა სტუდენტებთან და ლექტორებთან ამყარებს ურთიერთობებს, აქვს მათთან ყოველდღიური კონტაქტი და ამგვარადა აყალიბებს თავის სოციალურ სივრცეს. სტუდენტები ძირითადად სოციალიზაციას უნივერისტეტში ახდენენ და ურთიერთობებს ამყარებენ იმ ადამიანებთან, რომლებიც საუნივერსიტეტო სივრცეში არიან. შესაბამისად, სტუდენტთა დასაქმების დროს, მათი სოციალური არეალის ცვლილებასთან ერთად, ფართოვდება მათი სოციალური კაპიტალი. სტუდენტისთვის ეს დამატებით სარგებელს შეიძლება წარმოადგენდეს. სტუდენტები სამსახურში ამყარებენ ისეთ ურთიერთობებს, რომლებიც საუნივერსიტეტო სივრცეში დამყარებული ურთიერთობებისგან განსხვავებულია. ამიტომ სწავლის დროს მუშაობა შეიძლება დაკავშირებული იყოს მეტ ჩართულობასთან და ზოგად კეთილდღეობასთან. ამას მოწმობს იტალიის ერთ-ერთ უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევაც, რომლის მიხედვითაც, სწავლის დროს სტუდენტთა დასაქმება სწორედ მათ კეთილდღეობასთან არის დაკავშირებული და

მათ ჩართულობას ზრდის უნივერსიტეტსა თუ სამსახურში. ისინი უფრო მეტად აქტიურები ხდებაინ, ვინაიდან უწევთ სხვადასხვა საქმიანობის ერთროულად კეთება. თუმცა, ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ სამსახურისა და უნივერსიტეტის გრაფიკების შეუთავსებლობა, პირიქით, ნეგატიურ ფსიქოლოგიურ განწყობას ქმნის და ხელს უწყობს კონფლიქტის გაჩენას ამ ორ საქმიანობას შორის, რაც თავისთავად ნაკლები დროის ქონით არის გამოწვეული (Creed, French, Hood, 2015).

აქედან გამომდინარე, სტუდენტის მრავალფეროვანი და აქტიური სოციალური ფუნქციონირებისთვის, სამსახური მნიშვნელოვანი კომპონენტიც შეიძლება იყოს, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სწავლასა და სამსახურს შორის ბალანსი დაცულია, ეს ყველაფერი კი განისაზღვრება შეთავსებადი გრაფიკებით, დროის მარტივი განაწილებით, როცა ორი საქმიანობა ერთმანეთს ხელს არ უშლის. როცა მსგავსი შეთავსება არ არსებობს, შესაბამისად ეს გარკვეული პრობლემების გაჩენას უქმნის საფუძველს. ისმის კითხვა: როგორ უნდა მოახერხოს სტუდენტმა სწავლა და მუშაობა ისე, რომ არ მოხდეს გრაფიკების გადაფარვა, არ შეიქმნას ისეთი მომენტი, როცა ერთი საქმიანობა მეორის სრულყოფილად განხორციელებას ხელს შეუშლის, არამედ, პირიქით, ბალანსი იქნება შენარჩუნებული. ამიტომ უნდა განისაზღვროს ის, არის თუ არა იმის შესაძლებლობა, რომ სტუდენტისთვის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი საქმიანობა, უნივერსიტეტში სწავლა და პროფესიის დაუფლება და სამსახურის ქონა, რომელიც სწავლის საფასურის დასაფარად და ყოველდღიური საჭიროებების უზრუნველსაყოფად არის აუცილებელი, იყოს დაბალანსებული და იმგვარად განსაზღვრული, რომ სტუდენტს ნაკლებად შეექმნას დაბრკოლებები ამ საქმიანობებში. შეიძლება თუ არა ამ ყველაფრის განხორციელება?

ამ კითხვაზე პასუხი ბევრი სტუდენტისთვის შეიძლება იყოს ნახევარ განაკვეთზე მუშაობა. მოგეხსენებათ, ნახევარ განაკვეთზე მუშაობა გულისხმობს 25-ზე ნაკლებ სამუშაო საათს კვირაში. ნახევარ განაკვეთზე მუშაობა ითვლება არასტანდარტული დასაქმების ერთ-ერთ ტრადიციულ ფორმად. საათების ამ რაოდენობით მუშაობის დროს, სტუდენტს ყოველდღე საკმარისი დრო დარჩება

როგორც ლექციებზე დასასწრებად, ისე დავალებების შესასრულებლად და სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობისთვის, როგორებიცაა სხვადასხვა კონფერენციების გამართვა, აკადემიური ნაშრომებისა და კვლევების შექმნა. თუმცა აქ ვაწყდებით სხვა პრობლემურ საკითხს: რამდენადაა მისაღები ნახევარ განაკვეთზე მიღებული ანაზღაურება სტუდენტისთვის? რამდენად შეძლებს ის ცხოვრების საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ნახევარ განაკვეთზე მიღებული ანაზღაურებით? ეს საკითხი მნიშვნელოვანი იმიტომ არის, რომ ბევრი სტუდენტი ირჩევს სრულ განაკვეთზე მუშაობას, მხოლოდ იმიტომ, რომ უკეთესი ფინანსური მხარდაჭერა ჰქონდეს. თუმცა ეს ყველაფერი სტუდენტის აკადემიური საქმიანობის შემცირების ხარჯზე ხდება.სწორედ აქ ვაწყდებით იმ პრობლემებს, რომლებიც ზემოთ უკვე ვახსენე: საკმარისი დროის არ ქონა და ორი საქმის არასრულყოფილად შესრულება, ბალანსის არქონის გამო.

მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ნახევარ განაკვეთზე მუშაობას სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე დადებითი გავლენაც კი შეიძლება ჰქონდეს (Pike, Kuh, Massa-McKinley, 2009, 560-582).

ვაშინგტონში ჩატარებული კვლევის მიხედვით, სტუდენტთა მიერ კვირაში 20 საათის ან ნაკლების მუშაობის შემთხვევაში, ეს დადებითად აისახება მათ ქულებზე უნივერსიტეტში და ასევე მათ ჩართულობასაც ზრდის (Pike, Kuh, Massa-McKinley, 2009, 560-582).

აქედან გამომდინარე, შეიძლება იმაზე საუბარი, თუ რა უნარების განვითარება მოჰყვება სტუდენტთა დასაქმებას და როგორ აისახება ეს მათ აკადემიურ, სამსახურებრივ და საზოგადოებრივ ჩართულობასა და სოციალური უნარების განვითარებაში. სოციალური წრის გაფართოებით, ხდება მათი სოციალური კაპიტალის გაზრდაც, რაც ხელს უწყობს ურთიერთობებისა და საკომუნიკაციო უნარების გაუმჯობესებას სტუდენტებში და სწორედ ამას აქვს დადებითი ეფექტი მათ აკადემიურ ცხოვრებაზე.

ამ ყველაფრის ფონზე, შოტლანდიაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, სტუდენტების ნახევარი სწავლასთან ერთად ნახევარ განაკვეთზე მუშაობის დაბალანსებას ცდილობდა. ამასთან, სტუდენტური სესხის გადახდა და სამსახურის

დაბალანსება, გარკვეულ ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ და ფინანსურ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. ამიტომაც შემოსავლის გაზრდის მიზნით, სტუდენტების უმეტესობა ნახევარიდან სრულ განაკვეთზე სამუშაოდ გადასვლას ამჯობინებდა, რაც შესაბამისად სწავლისთვის დათმობილ ნაკლებ დროსა და გაუარესებულ აკადემიურ მოსწრებას გულისხმობდა (Carney, McNeish, McColl, 2006).

რადგან სამსახურის დროს შექმნილი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის პრობლემებს შევეხეთ, მინდა ყურადღება გავამახვილო იმ საკითხზე, თუ კიდევ რა გზებს ირჩევენ სტუდენტები იმისთვის, რომ უნივერსიტეტისა და სამსახურის დროები ერთმანეთს შეუთავსონ. საქართველოში ბევრი სტუდენტი დღესდღეობით საღამოს ან ღამის ცვლაში მუშაობს. მოგეხსენებათ, ღამის გათენება და ძილის გრაფიკის მუდმივი ცვლილება ნებისმიერი ადამიანიის ჯანმრთელობისთვის შეიძლება იყოს საზიანო. ამ ყველაფერთან ერთად ბუნებრივია ღამით და ასევე დღისით მომუშავე სტუდენტთან თავს იჩენს გამოუძინებლობისა და გადაღლის პრობლემა, რამაც ასევე თავისი როლი შეიძლება შეასრულოს აკადემიურ სწავლებაში სათანადოდ ჩართულობაში და ხელი შეუშალოს სტუდენტს ლექციებზე დასწრებაში, დავალებების სრულყოფილად და დროულად შესრულებაში.

„არასასწავლო საქმიანობაზე დიდი დატვირთვა ხელს უშლის სტუდენტების სასწავლო პროცესში სათანადო ჩართულობას. ძილის დარღვევა უარყოფითად ზემოქმედებს სტუდენტების ჯანმრთელობასა და ფსიქიკურ მდგომარეობაზე“ (ვერულავა, ჯოლბორდი, 2018). 2018 წელს საქართველოში ჩატარებული კვლევის მიხედვით, სწორედ იმაზე მახვილდება ყურადღება, თუ რა უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს მუშაობას, განსაკუთრებით, ღამის ცვლაში მუშაობას, სტუდენტთა ჯანმრთელობასა და მათ აკადემიურ ჩართულობაზე. აქ მთავარ როლს თამაშობს დაღლის ფაქტორი და ის ფაქტი, რომ გამოუძინებელი სტუდენტი სრულფასოვნად და ხარისხიანად ვერ ჩაერთვება სასწავლო პროცესში.

არანაკლებ საინტერესოა ის ფაქტი, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი მუშაობს ე.წ. „მცოცავი“ გრაფიკით. ეს არის განსხვავებული სამუშაო გრაფიკი, როცა დასაქმებული

წინასწარ განსაზღვრული მონაცვლეობითი სამუშაო გრაფიკით მუშაობს. მაგალითისთვის მინდა განვიხილო ერთ-ერთი კომპანია საქართველოში - “Evolution Georgia”, სადაც დაახლოებით 5000-მდე სტუდენტია დასაქმებული სწორედ ამგვარი გრაფიკით. ამ კომპანიაში დასაქმებულები თანმიმდევრულად მუშაობენ სამი დღის განმავლობაში 8 საათით, ხოლო მომდევნო სამი დღე დასვენების დღეები აქვთ. ამასთანავე, დასაქმებულებს აქვთ შესაძლებლობა, 8 საათის ნაცვლად დღეში 4 საათი იმუშაონ. კომპანიის ძირითადი მოთხოვნაა, დასაქმებულის მიერ თვეში შესრულებული სამუშაო საათები მინიმუმ 68 საათს შეადგენდეს. სტუდენტების ამ კომპანიაში დასაქმების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ამგვარი ხელსაყრელი გრაფიკია, რადგან მათ პარალელურად უნივერსიტეტში სწავლის სწორად წარმართვისთვის მეტი დრო რჩებათ. ამგვარი გრაფიკის გამო, მარტივია ცვლების გადაცვლაც, რაც სტუდენტებისთვის კიდევ ერთი სარგებელია. ეს უნივერსიტეტის დღეებისთვის დროის გამოთავისუფლების საშუალებას იძლევა. დროის არ ქონის და გრაფიკების შეუთავსებლობის პრობლემა ე.წ. მცოცავი გრაფიკის დახმარებით, შეიძლება მარტივად მოგვარებადი იყოს.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ამგვარი გრაფიკით მუშაობა მაინც ასოცირდება გარკვეული პრობლემების აღმოცენებასთან, რასაც საბოლოოდ მაინც აქვს გარკვეული გავლენები სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებასა და ჩართულობაზე. ამგვარი გრაფიკის მართვა შეიძლება რთული აღმოჩნდეს მაშინ, როცა უბრალოდ შეუძლებელია იმ სამუშაო დღის გაცვლა, რომელიც სტუდენტს ლექციაზე დასწრებაში შეუშლის ხელს. მეორე მხრივ, სამსახურის გაცდენა სრულიად მიუღებელია ნებისმიერი მიზეზითაც კი, როცა საქმე ეხება ისეთ კომპანიას, როგორიცაა “Evolution Georgia” და სხვა უცხოურ, მსგავს კომპანიებს. სამსახურის გაცდენა ასეთ შემთხვევაში მყარ საფუძველს უქმნის დასაქმებულის გათავისუფლებას, ვიანიადან მისი მხრიდან ამგვარი საქციელი არაპროფესიონალურად აღიქმება და უპასუხისმგებლობაზე მიუთითებს. ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ სტუდენტმა ყოველთვის ვერ მოახერხოს დროის სწორად გადანაწილება და კვლავ აღმოჩნდეს არჩევანის წინაშე: სამსახური თუ უნივერსიტეტი?

საბოლოო ჯამში, ფაქტია, რომ სტუდენტთა დასაქმება საქართველოში და არა მარტო საქართველოში, საკმაოდ დიდ და აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს,

რომელიც ძალიან ბევრ სტუდენტს ეხება, არ აქვს მნიშვნელობა ისინი ნახევარ, სრულ თუ მცოცავ განაკვეთზე არიან დასაქმებულნი, ისინი მაინც აწყდებიან გარკვეულ პრობლემებს ამ ორი საქმიანობის ერთმანეთთან შეთავსებიის დროს. სტუდენტთა დასაქმების მოტივები შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგალითად, ნაწილისთვის მნიშვნელოვანი იყოს სამუშაო გამოცდილების მიღება, სტუდენტთა ნაწილი სწავლის საფასურის გადახდის გამო საქმდება, ნაწილისთვის კი, დასაქმება აუცილებელია ოჯახის მატერიალური დახმარების თვალსაზრისით. ამიტომ ვფიქრობ, საინტერესოა ამ ყველაფრის შესწავლა და ამ გავლენების აღმოჩენა, რომლებიც სამსახურსა და სწავლას შორის იკვეთება, განსხვავებული განაკვეთების შემთხვევაში.

თავი 3. კვლევის შედეგები

სტუდენტთა სამუშაო სფეროსა და მათი სპეციალობის აცდენა.

კვლევაში მონაწილე ყველა სტუდენტი დასაქმებულია ისეთ სამუშაო ადგილას, რომელიც მათი სპეციალობის სფეროსგან მეტად დაშორებულია. ისინი უნივერსიტეტში შეისწავლიან სხვა პროფესიას, რომლითაც დასაქმება მათთვის სწავლის პარალელურად არ არის შესაძლებელი. ეს ხდება იმიტომ, რომ მათ არ გააჩნიათ საკმარისი გამოცდილება და ცოდნა იმისთვის, რომ თავიანთი პროფესიით დასაქმდნენ. ამასთან, სტუდენტური ცხოვრების ეტაპზე მათთვის მნიშვნელოვანია, რომ ჰქონდეთ საკმარისი ფინანსური შემოსავალი, რათა დაიკმაყოფილონ საცხოვრებლად აუცილებელი პირველადი მოთხოვნილებები მაინც. სწორედ ამიტომ, სტუდენტებისთვის არ არის მისაღები ისეთი ანაზღაურებით მუშაობა, რომლითაც ვერ შეძლებენ ამგვარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მათ შორის სწავლის საფასურის გადახდასაც. ისინი გამორიცხავენ თავიანთი პროფესიით სხვადასხვა სტაჟირების გავლასაც, ვინაიდან ამგვარი გამოცდილება მათთვის საერთოდ არ არის დაკავშირებული ფინანსურ ანაზღაურებასთან და ამასთანავე მათთვის შემცირებულ დროსაც გულისხმობს. სწორედ ამ მიზეზებიდან გამომდინარე, ისინი ირჩევენ ისეთ სამუშაო სფეროს, სადაც არ გააჩნიათ არანაირი გამოცდილება, თუმცა არც სჭირდებათ ის. სტუდენტები ირჩევენ დაბალკვალიფიციურ პროფესიებს, სადაც მარტივად მოახერხებენ შესასრულებელი მოვალეობების ათვისებას მოკლე დროში და მიიღებენ მათთვის დამაკმაყოფილებელ ანაზღაურებას. ასეთი დაბალკვალიფიციური პროფესიებია: მოლარე-კონსულტანტი, ქოლ-ცენტრის ოპერატორი, თამაშის წარმდგენი, ბანქოს მჩეხავი, კურიერი, მიმტანი, მაკლერი და ა.შ.

„მე იურიდიულზე ვსწავლობ და აგროჰაბში ვმუშაობ და დაშორებულია ეს ორი ერთმანეთისგან ძალიან, რა თქმა უნდა.“ (ქალი, იურიდიული ფაკულტეტი, მოლარე-კონსულტანტი, მესამე კურსი, 21 წლის)

იმის მიუხედავად, რომ ამგვარ სამუშაო ადგილებში ანაზღაურება მიზერულია, სტუდენტებისთვის ყველაზე მეტად ოპტიმალური გამოსავალი მაინც ამგვარ სფეროში დასაქმებაა. სტუდენტები მსგავსად დასაქმებისას კარიერულად ვერ ვითარდებიან და ვერ იღებენ იმ საჭირო სამუშაო გამოცდილებას, რომელიც მათი მომავალი საქმიანობის

შესრულებაში გამოადგებათ. ამგვარ სამუშაო ადგილებში დასაქმების ძირითად მიზეზებად კი სახელდება ისეთი მოტივები, როგორიცაა საკმარისი ანაზღაურება და ოჯახისთვის ხრჯის შემსუბუქება.

„ჩემს შემთხვევაში სრულიად არ უკავშირდება, თსუ-ში ვსწავლობ მედიცინის ფაკულტეტზე ვარ და უძრავი ქონების სააგენტოში ვმუშაობ, კავშირი საერთოდ არ არის ამ სამსახურსა და სწავლას შორის, თუმცა ჩემს მატერიალურ თავისუფლებას უზრუნველყოფს.“ (ქალი,მედიცინის ფაკულტეტი, მაკლერი, მეოთხე კურსი, 22 წლის)

ერთდროულად დასაქმებისა და სწავლის დროს წარმოქმნილი სირთულეები

ვაშინგტონში ჩატარებული კვლევის მიხედვით, კვირაში 20 საათზე მეტი დროის გატარება სამსახურში, უარყოფითად აისახება სტუდენტის საუნივერსიტეტო საქმიანობაზე და მის აკადემიურ მოსწრებაზე. ამას ძირითად შემთხვევაში განაპირობებს უნივერსიტეტში, ლექცია/სემინარებზე გატარებული ნაკლები დრო და სტუდენტთა სალექციო/სასემინარო აქტივობებში ჩართულობის შემცირება (Pike, Kuh, Massa-McKinley, 2009, 560-582).

კვლევის მონაწილე სტუდენტებმა განიხილეს ის სირთულეები, რომლებსაც ერთდროულად სწავლისა და დასაქმების დროს აწყდებიან. ისინი ასახელებენ ძირითად პრობლემებს, რომლებიც მათ ხელს უშლით, რომ ორივე საქმიანობა სრულყოფილად შეასრულონ, თან ისე, რომ ერთით მეორე არ დააზარალონ. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მთავარი პრობლემა არის არასაკმარისი დროის ქონა და გრაფიკების შეუთავსებლობა. დროის გადანაწილება სამსახურისთვის და უნივერსიტეტისთვის სტუდენტებისთვის ძალიან რთულია. ისინი ამბობენ, რომ ხშირად, სამსახურისა და ლექცია/სემინარების დროები ერთმანეთს ემთხვევა, უმეტეს შემთხვევაში კი ისინი ამ პრობლემის მოგვარებას ვერ ახერხებენ ისე, რომ რომელიმე საქმიანობა მაინც არ დაზარალდეს.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ სრულ განაკვეთზე დასაქმებული სტუდენტი ვერ ახერხებს დაესწროს აბსოლუტურად ყველა ლექციასა და სემინარს. ამის გამო, მისი ჩართულობა და აქტივობა დაბლა იწევს. ამას ემატება ისიც, რომ სტუდენტები

შესაბამის საგანზე ვერ იღებენ სრულ, თანმიმდევრულ ინფორმაციას, რაც პრობლემას ქმნის საგნის საფუძვლიან ათვისებაში. ამ შედეგებს სწორედ დროის დეფიციტი იწვევს.

„ალბათ, დრომ უფრო, დროის გადანაწილებაა ძალიან რთული, ჩემთვის პირადად, იმიტომ, რომ მაინც ძალიან იღლები, ანუ სამსახურშიც იღლები და მერე უნივერსიტეტშიც იღლები. ერთ დღეს როცა მაქვს ორივე, მერე მართლა ძალიან დაღლილი ვარ იმ დღეს და სხვა რამისთვის დრო აღარ გრჩება კიდევ, ცალკე შენი თავისთვისაც აღარ გრჩება...“ (ქალი,ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, თამაშის წარმდგენი, მესამე კურსელი, 21 წლის)

სტუდენტები დროის დეფიციტის პრობლემასთან ერთად, ყურადღებას ამახვილებენ ისეთ საკითხზეც, რასაც სამსახურში გადაღლა და უენრგიობა ჰქვია. სტუდენტები ამბობენ, რომ შეიძლება ამ ორი საქმიანობის დროები ერთმანეთს არ დაემთხვეს, თუმცა ორივე საქმის ერთ დღეს შესრულების შემდეგ, მუშაობის თუ სწავლების ხარისხი დაბლა იწევს, სწორედ რომ გადაღლილობისა და უენერგიობის გამო.

სწავლის პარალელურად სრულ განაკვეთზე მუშაობა დიდი ენერგიას მოითხოვს და დროის გადანაწილების კარგი უნარები სჭირდება. სტუდენტებისთვის ეს ხშირ შემთხვევაში სირთულეს წარმოადგენს, რადგან მათ პირველად უწევთ ორი ძალიან მნიშვნელოვანი საქმიანობის ერთდროულად კეთება. სწორედ მათი გამოუცდელობა ამ საკითხში განაპიობებს მათ გადაღლასა და უენერგიობას. ამას ემატება არასაკმარისი ძილი, გრძელი სამუშაო საათები და დამღლელი სამუშაო გარემოც. სტუდენტები თავის მოწესრიგებასა და ძალების აღდგენას განსაზღვრულ დროს უთმობენ და ამგვარად, მათ მიერ სწავლისთვის დათმობილი დრო კიდევ უფრო მეტად მცირდება. ეს ყველაფერი მათ უნივერსიტეტის საგნების თეორიული მასალის სრულყოფილად მომზადებაში ხელს უშლით, ისევე როგორც დავალებების შესრულებასა და ზოგადად ლექცია/სემიანრებზე დასწრებაში.

„ჩემთანაც დროის ფაქტორია, ალბათ. მე ვმუშაობ კვირაში 6 დღე და ერთი დღე ვისვენებ, სამწუხაროდ, ყოველდღე ორშაბათიდან-პარასკევამდე ვერ ვესწრები ლექციებს, იმიტომ რომ... თან საღამოს მუშაობის დროს ძალიან გვიან ვრჩები სამსახურს და დავალებებს ვერ

ვასწრებ, ვერ ვწერ. და ამას დაღლილობა განაპირობებს. და რა თქმა უნდა, დროის ნაკლებობაცაა.“ (ქალი, ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერების ფაკულტეტი, მეოთხე კურსელი, მიმტანი, 22 წლის)

სხვადასხვანაირი სამუშაო გრაფიკისა და უნივერსიტეტის გრაფიკის ერთმანეთთან შეთავსება

იქიდან გამომდინარე, რომ სტუდენტთა დასაქმების დროს ძირითადი სირთულე ორი საქმიანობის ერთმანეთის გადაფარვის დროს იქმნება, მნიშვნელოვანია განვიხილოთ სხვადასხვა სამუშაო გრაფიკის მოქნილობა და თავსებადობა სწავლასთან მიმართებაში.

ინგლისის ერთ-ერთ უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევის მიხედვით, სრულ განაკვეთზე მუშაობას ნეგატიური გავლენა აქვს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე (Holmes, 2008, 305-314).

ჩვენს კვლევაშიც იკვეთება მსგავსი ტენდენცია, სტუდენტები განიხილავენ იმ სამუშაო გრაფიკებს, რომლითაც ოდესმე დასაქმებულნი ყოფილან. სტუდენტებს აქვთ სხვადასხვანაირი გრაფიკით მუშაობის გამოცდილება. მათ უმუშავიათ: სრულ განაკვეთზე, ნახევარ განაკვეთზე, მცოცავი გრაფიკით, ისევე როგორც ღამის ასევე დღის და დილის ცვლაში. ისინი საუბრობენ იმაზე, თუ რამდენად მოსახერხებელი და კომფორტულია სხვადასხვა გრაფიკი უნივერსიტეტის გრაფიკთან შეთავსების თვალსაზრისით. სტუდენტთა უმეტესი ნაწილი ფიქრობს, რომ ე.წ. მცოცავი გრაფიკი და თავისუფალი გრაფიკი, ლექცია/სემინარების დროებთან შეთავსების თვალსაზრისით, ყველაზე მეტად მოქნილია. როცა სხვადასხვა დღეს გიწევს მუშაობა და არსებობს ამ დღეების გადაცვლის საშუალება ან როცა თვის განმავლობაში მხოლოდ განსაზღვრული სამუშაო საათების დაგროვებას გთხოვს კომპანია, სტუდენტებისთვის ამგვარი სამუშაო გრაფიკი ყველაზე კომფორტულია.

ერთ-ერთი სტუდენტი განიხილავს კომპანია Evolution Georgia-ს მაგალითს. მისი თქმით, ამ კომპანიაში თვეში მინიმალური საათების მუშაობაა აუცილებელი, რაც ჯამში 64 საათს შეადგენს, რაც კვირაში 16 სამუშაო საათს გულისხმობს. სტუდენტის თქმით, ამგვარ სამუშაო გრაფიკს, არა ნეგატიური, არამედ პირიქით დადებითი ეფექტიც კი

ჰქონდა მის აკადემიურ მოსწრებაზე. მინიმალური დატვირთვით მუშაობა მისაღებია ისეთ კომპანიებშიც, როგორებიცაა Wolt და Glovo, კურიერის პოზიციაზე. სტუდენტებისთვის საკუთარი გრაფიკის დარეგულირება და ამგვარად სალექციო/სასემინარო დროის გამოთავისუფლება, ყველაზე მეტად კომფორტულია. მეორე მხრივ, ამგვარი გრაფიკით მუშაობას სტუდენტები თავს იმიტომ არიდებენ, რომ მათი შემოსავალი მნიშვნელოვნად მცირდება. იმის მიუხედავად, რომ კვლევის მონაწილეებისთვის სწავლა პირველ ადგილზე დგას, ისინი ფინანსური შემოსავლის შემცირებას მნიშვნელოვან პრობლემად აღიქვამენ, ვინაიდან მსგავსი მიზერული ანაზღაურებით ცხოვრების ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასაც ვერ ახერხებენ.

„მე 24-საათიანი გრაფიკითაც მიმუშავია, მცოცავი გრაფიკითაც მიმუშავია და თავისუფალი გრაფიკითაც, ახლა ასე ვმუშაობ და ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი ალბათ თავისუფალი გრაფიკია უფრო, სწავლის თვალსაზრისით. და 24-საათიანი ყველაზე ხელისშემშლელია.“ (ქალი, მედიცინის ფაკულტეტი, მაკლერი, მეოთხე კურსი, 22 წლის)

ამგვარად, სტუდენტები ყველაზე მოსახერხებელ გრაფიკად თავისუფალ და მცოცავ გრაფიკს ასახელებენ. ეს ასე იმიტომ ხდება, რომ სტუდენტები გაცილებით ნაკლებ დროს ატარებენ სამსახურში და მეტი დრო რჩებათ ლექცია/სემინარებზე დასასწრებად, დავალებების შესასრულებლად და გამოცდებისთვის მოსამზადებლად.

მეორე მხრივ, გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც სტუდენტები სწავლასთან შეთავსების მხრივ ყველაზე მოუხერხებელ გრაფიკს ასახელებენ. 24-საათიანი გრაფიკი, როცა სტუდენტს 24 საათის განმავლობაში უწევს ცვლაში ყოფნა და ამავე დროს ღამეს ათენებს, ყველაზე მეტად ზიანის მომტანია სტუდენტის აკადემიური მოსწრებისთვის. სტუდენტები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ამგვარი გრაფიკით მუშაობა ყველაზე მეტად განაპირობებს მათ გადაღლას და მათ სამუშაო თუ სასწავლო შესაძლებლობასა და უნარს დაბლა სწევს. გამოუძინებლობა და ენერგიის არქონა სწორედ ამგვარი გრაფიკით მუშაობისას იჩენს თავს, რაც სწავლის ხარისხზე და მათ აკადემიურ მოსწრებაზე ცუდად მოქმედებს.

„მე დავამატებ იმას, რომ წინა სამსახურში 24-საათიანი გრაფიკი მქონდა და სამი დღე ვისვენებდი. იმ სამ დღეში უნივერსიტეტშიც დავდიოდი, თუმცა ხარისხს ვერ ვიტყვი რომ იგივე იყო სწავლების, იმიტომ რომ 24-საათიანი მორიგეობის შემდეგ ძალიან ძნელი იყო... ამიტომ ასეთი გრაფიკი ჩემთვის ყველაზე მოუხერხებელია, როცა ღამესაც ათენებ...“ (კაცი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი, მესამე კურსელი, ქოლ-ცენტრის ოპერატორი, 21 წლის)

აღსანიშნავია ღამით მომუშავე სტუდენტების ორმაგად უარყოფითი გამოცდილება. ჩვეულებრივ დილის ან ღამის ცვლაში მომუშავე სტუდენტისთვის, უენერგიობისა და გამოუძინებლობის პრობლემა იმდენად მძიმე არ არის, როგორც ეს ღამის ცვლაში მომუშავე ახალგაზრდებისთვის. სტუდენტები თვლიან, რომ ამგვარ სამუშაო გრაფიკს ყველაზე მეტად დიდი დრო მიაქვს. იმის მიუხედავად, რომ ისინი ღამით მუშაობენ, როცა ლექციები არ აქვთ, მაინც უწევთ ხანდახან ლექციების გაცდენა იმ მიზეზით, რომ გამოძინება და ენერგიის აღდგენა სჭირდებათ. ამ ყველაფერთან ერთად, ღამის ცვლაში სამუშაოდ, სტუდენტებს მთლიანად უწევთ საკუთარი რუტინის შეცვლა, მათ სჭირდებათ დღისით გამოძინება, რომ ღამით სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას გამოძინებულები იყვნენ და ამგვარად მოემზადონ ცვლისთვის. ეს კი ისევ და ისევ გაცდენილ ლექცია/სემინარებსა და სწავლისთვის დათმობილ ნაკლებ დროზე მიუთითებს.

„მე დილის 8 საათზე ვამთავრებ მუშაობას და ყოფილა შემთხვევები, რომ იმდენად დაღლილი ვყოფილვარ გადაბმული მორიგეობების გამო, რომ ლექცია/სემინარზე ვერ წავსულვარ და ჩამძინებია უბრალოდ დაღლილობისგან და რა თქმა უნდა, მოქმედებს ეს ძალიან სწავლაზე.“ (კაცი, მედიცინის ფაკულტეტი, თამაშის წარმდგენი, მეოთხე კურსი, 22 წლის)

ამ ყველაფერს ემატება ისიც, რომ გადაღლილობის ფაქტორი ყველაზე მეტად აზარალებს სტუდენტთა სწავლის ხარისხს. სტუდენტები ორიენტირებულნი არიან არა სიღრმისეული ცდონის მიღებაზე, არამედ თეორიული მასალის მოკლე დროით დასწავლაზე, მისი გამოცდაზე გამოყენების მიზნით, რათა ამგვარად შეძლონ ქულების

დაგროვება. ამგვარი დასწავლის დროს დარღვეულია მასალის თანმიმდევრობა და სტუდენტი ამ ინფორმაციას მხოლოდ გამოცდის ჩაბარებისას იყენებს. ეს ყველაფერი მათი პროფესიული უნარების განვითარებაზეც უარყოფითად აისახება.

„დაახლოებით წელიწადნახევარი ვმუშაობდი 24 საათიანი გრაფიკით, ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა ლექციაზე მისულს სამსახურიდან ჩამძინებია, იმიტომ რომ დაღლილი ვიყავი ძალიან და ძალიან მოქმედებდა ეს გრაფიკი ჩემს სწავლის ხარისხზე უარყოფითად.“ (კაცი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი, მესამე კურსელი, ქოლ-ცენტრის ოპერატორი, 21 წლის)

დამსაქმებლის როლი სტუდენტთა აკადემიური საქმიანობის ხელშეწყობაში

დისკუსიის დროს სტუდენტებმა ასევე განიხილეს თავიანთი დამსაქმებლის როლი მათი აკადემიური საქმიანობის ხელშწყობაში. გამოვლინდა ტენდენცია, რომ დამსაქმებლები ხშირად უწყობენ ხელს დასაქმებულ სტუდენტებს და როგორც მინიმუმ, თანამშრომლებს ერთმანეთში ცვლების გაცვლის საშუალებას აძლევენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ძირითად შემთხვევაში ისეთი ხელშეწყობა, როგორიც სამსახურიდან გათავისუფლებაა, უფრო მეტად გამოცდების პერიოდში ხდება და ამასთან, გაცდენილი საათები, მომავალში აღდგენასაც საჭიროებს. სტუდენტები ამბობენ, რომ რადგან ყოველი ლექციის დროს მათ არ შეუძლიათ სამსახურიდან გათავისუფლება, ამის გამო ხშირად ისინი ლექცია/სემინარებს არ ესწრებიან, თუმცა გამოცდებს - ყოველთვის.

„მე ვიტყვი, რომ ახლა უკეთესია, სადაც ვმუშაობ, იმიტომ, რომ ჩემი მენეჯერი და ჩემი ჯგუფის უფროსი მაქსიმალურად ცდილობს, რომ ლექციებზე დასწრებაში ხელი არ შეგვეშალოს... წინა სამსახურში ასე არ ხდებოდა. 24 საათი მიწევდა, რომ იქ ვყოფილიყავი და ვერსად ვერ გავიდოდი.“ (კაცი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი, მესამე კურსელი, ქოლ-ცენტრის ოპერატორი, 21 წლის)

მეორე მხრივ, გამოცდაზე მისვლა სტუდენტებისთვის აუცილებელია, რომ კრედიტის გარეშე არ დარჩნენ, ამიტომ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ იძულებითი მომენტია. სხვა შემთხვევაში, გარდა აუცილებლობისა, როგორიცაა შუალედური ან ფინალური გამოცდა, სტუდენტები ვერ უწყობენ ფეხს სასწავლო პროცესს

თანმიმდევრულად და არ არიან აქტიურად ჩართულნი სწავლის პროცესში. უმეტეს დროს ატარებენ სამსახურში და სამსახურის ფონზე გადაღლისა და უენერგიობის გამო, ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებენ ლექციებზე და სემინარებზე წასვლას. ამასთან დაკავშირებით დამსაქმებლის ხელშეწყობა თანამშრომელი სტუდენტების მიმართ კი ნაკლებად მჟღავნდება, თუ არ ჩავთვლით მათთვის დღეების გადაცვლის შესაძლებლობის მიცემას.

სწორედ ამიტომ კვლევაში მონაწილე სტუდენტები უფრო მეტად მიიჩნევენ, რომ დამსაქმებელზე მეტად სხვა დასაქმებული სტუდენტები უწყობენ ხელს და ეხმარებიან ერთმანეთს ლექცია/სემინარებისთვის მოქნილი და შესაფერისი გრაფიკის აწყობაში. რადგან სტუდენტები ძირითადად ერთსა და იმავე კომპანიაში და ერთსა და იმავე პოზიციაზე ხშირად საქმდებიან, დაბალკვალიფიციური მოთხოვნების სფეროში, სწორედ ამიტომ სტუდენტები ხშირად აღმოჩნდებიან ერთ სივრცეში და ზრუნავენ ისევე როგორც საკუთარი გრაფიკის დალაგებაზე, ასევე სხვა სტუდენტებთან ცვლების გაცვლით, ერთმანეთსაც ეხმარებიან. ერთ-ერთი ასეთი კომპანია არის Evolution Georgia, სადაც კვლევაში მონაწილე სტუდენტებიც არიან დასაქმებულნი და ისინი სწორედ ამგვარ მხარდაჭერაზე საუბრობდნენ, რომელიც უფრო მეტად დასაქმებული სტუდენტებისგან გამოიხატება ერთმანეთის მიმართ, ვიდრე თავად დამსაქმებლისგან.

„ჩემთან უფრო თანამშრომლები ვუწყობთ ხელს ერთმანეთს, ვიდრე დამსაქმებელი. თანამშრომლებთან ხდება თვითონ უშუალოდ ცვლის გადაცვლა, იმათაც ხომ გამოცდები და ლექციები აქვთ უმრავლესობას ან ზოგადად აწყობთ გაცვლა. ევოლუშენში ეგრეა. დამსაქმებელთან ვერ მოაგვარებ მაგ საკითხს, არავინ გადაგიტანს ცვლებს. (ქალი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, მესამე კურსელი, თამაშის წარმდგენი, 21 წლის)

სამსახურებრივი და აკადემიური საქმიანობების დაბალანსება

სამსახურებრივი და აკადემიური საქმიანობების დაბალანსებაზე საუბრისას, უმეტესად ამგვარ ტენდენციასთან გვაქვს საქმე, რომ ამ ორი საქმიანობის სრული დაბალანსება ზოგჯერ შეიძლება, თუმცა, საბოლოო ჯამში, ძალიან რთულია და სრული ბალანსის დაცვა შეუძლებელიც კია. ზოგი სტუდენტისთვის, უნივერსიტეტზე მეტად

მნიშვნელოვანი სამსახურიც კი გახდა, სწორედ იმიტომ, რომ ბალანსის დაცვა ვერ ხერხდება და მატერიალური უზრუნველყოფა მათთვის პირველ ადგილზე დგას. ამის გამო, სტუდენტებს მუდმივად უწევთ არჩევანის გაკეთება სამსახურში წასვლასა და ლექცია/სემინარებზე დასწრებას შორის მაშინ, როცა ეს ორი ერთმანეთს ემთხვევა და ფიზიკურად მათი ორ ადგილას ყოფნა შეუძლებელია.

„ხან ლაგდება და ხან არ ლაგდება საერთოდ (იცინის). ყველანაირად ვცდილობ მე რომ ანუ გადავანაწილო დრო, მაგრამ ხანდახან არ გამომდის. და ისეთი შემთხვევაც ყოფილა როცა არჩევანის წინაშე ვარ, კი როგორ არა, ეგეთი შემთხვევა ყოველთვის არის და ნუ ყოველთვის გამოცდებზე უნივერსიტეტს ვანიჭებ უპირატესობას და ლექციებზე უფრო ხშირად არ მივდივარ...“ (ქალი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, მესამე კურსელი, თამაშის წარმდგენი, 21 წლის)

სტუდენტები საუბრობენ იმაზე, თუ საქართველოს შრომის ბაზარზე რამდენად რთულია სტუდენტზე მორგებული გრაფიკის მქონე სამსახურის მოძიება. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში სტუდენტებზე მორგებული სამსახური თითქმის არ არსებობს, ან თუ არსებობს ამგვარი სამსახურის ანაზღაურება სტუდენტებისთვის არადამაკმაყოფილებელია.

ამ ყველაფერთან ერთად, შესაბამისი მოქნილი გრაფიკის არარსებობისგან გამომდინარე, სტუდენტებს თავიანთი დროის გატარება მხოლოდ სამსახურსა და უნივერსიტეტში უწევთ, რაც მთლიანად გამორიცხავს მათი სოციალური ცხოვრების აქტიურობას, თუნდაც მეგობრებთან ან ოჯახის წევრებთან შეხვედრას, კლასგარეშე აქტივობებში ჩართვას, გასართობად წასვლას და სხვ.

მეორე მხრივ, სტუდენტები, რომლებიც სწავლას პირველ ადგილზე აყენებენ, მაინც ცდილობენ მაღალი აკადემიური მოსწრების შენარჩუნებას სხვადასხვა საშუალებით, იმის მიუხედავად, რომ უმეტეს დროს სამსახურში ატარებენ და ხშირად აცდენენ ლექცია/სემინარებს. სტუდენტები ორიენტირდებიან მასალის დაზეპირებაზე და ამგვარად გამოცდებზე მაღალ ქულებს აგროვებენ, თუმცა მოგეხსენებათ ამგვარად თეორიული მასალის სწავლა, როგორც უკვე ითქვა, უხარისხოა და სტუდენტს დიდი ხნით არ ამახსოვრდება. ეს ყველაფერი პირდაპირ მიუთითებს სწავლის ხარისხის ზოგად გაუარესებაზე.

„უნივერსიტეტი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, უბრალოდ, როცა ეგეთი რეალობა გაქვს, რომ მუშაობა გჭირდება და შესაბამისად, გჭირდება ანაზღაურება, მაგ დროს პრიორიტეტები ცოტა იყოფა... როცა აუცილებლობაა და რეალობა ეგეთი გაქვს, მაგ შემთხვევაში ხანდახან მეორე პლანზე იწევს ხოლმე სწავლა, სამწუხაროდ, ეგეთ რეალობაში ვართ.“ (ქალი, იურიდიული ფაკულტეტი, მოლარე-კონსულტანტი, მესამე კურსი, 21 წლის)

სტუდენტთა შეფასებებსა და ლექტორთა უკუკავშირში გაჩენილი განსხვავები
სტუდენტთა დასაქმების შემდგომ

კვლევაში მონაწილე სტუდენტების შეფასებებსა და ქულებზე დასაქმება უარყოფითად აისახა. ზოგიერთი სტუდენტისთვის მსგავსი მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გაჩენილა, ეს იმიტომ, რომ სტუდენტთა განსაზღვრული კატეგორია თავისუფალი გრაფიკით არის დასაქმებული, რის გამოც, ლექცია/სემინარებს მუდმივად ესწრებიან და თეორიულ მასალას საფუძვლიანად ითვისებენ.

რაც შეეხება იმ სტუდენტებს, რომლებიც სრულ განაკვეთზე არიან დასაქმებულები, ეს მათ ნიშნებზე უარყოფითად ისახება. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირი გაცდენების გამო, სტუდენტები კარგავენ დასწრება/აქტიურობის ქულებს. ამასთან ერთად, ისინი ხშირად ვერ ასწრებენ ან ვერ ახერხებენ გადაღლილობის ფონზე იმ დავალებების შესრულებას, რომლებსაც უნივერსიტეტში იღებენ. ეს ყველაფერი პირდაპირ აისახება მათ ქულებზე და მჟღავნდება ლექტორთა უკუკავშირშიც.

„...პირველ რიგში, აკადემიური მოსწრების ძალიან დაბალი ქულა მაქვს. ქულებზე თუ ვილაპარაკებთ და სხვა მხრივ, ანუ ზოგიერთში [საგანში] მაგალითად, დავალებას ვერ ვახერხებ დაწერას საერთოდ ან ვერ ვასწრებ ხოლმე და ნუ ესეც აისახება ამაზე. და რაც მუშაობა დავიწყე, მას შემდეგ არის ასე. უკეთესობისკენ არ შეცვლილა ჩემი ქულები.“ (ქალი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, მესამე კურსელი, თამაშის წარმდგენი, 21 წლის)

კვლევის შედეგად იკვეთება ის, რომ სწავლისთვის დათმობილი ნაკლები დრო, სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე უარყოფითად აისახება. სწავლასა და სამსახურს

შორის ბალანსის არარასებობის გამო, სტუდენტს უწევს უფრო და უფრო მეტი დროის სამსახურში და ნაკლები დროის უნივერსიტეტში გატარება. ამგვარი უარყოფითი გავლენა აკადემიურ მოსწრებაზე კი, სტუდენტთა ქულებში და ლექტორთა უკუკავშირშიც უარყოფითად გამოიხატება.

სამსახურის გავლენა სტუდენტთა დროის მართვის, ჩართულობისა და კონცენტრირების უნარების განვითარებაზე

როგორც ზემოთ ითქვა, კვლევაში მონაწილე სტუდენტები თავიანთი სპეციალობისგან განსხვავებულ დასაქმების სფეროებს ირჩევენ რამდენიმე ძირითადი მიზეზის გამო. მათ სპეციალობასა და დასაქმების სფეროს შორის არსებული განსხვავებიდან გამომდინარე, მათ მიერ სამსახურსა და უნივერსიტეტში შესრულებული დავალებებიც დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან. სტუდენტთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ მათი სპეციალობისა და სამსახურის ერთმანეთთან დაკავშირებაც კი შეუძლებელია და შესრულებულ დავალებებსა და მოვალეობებს შორის განსხვავება საკმაოდ დიდია. ისინი საუბრობენ იმ მოვალეობებზე, რომლებიც სამსახურში აკისრიათ, რაც ძირითადად არის არაკვალიფიციური საქმეების შესრულება, მათი მოვალეობები მეტად სპეციალიზებულია და ბაზისური დავალებებისგან შედგება. ეს ყველაფერი განსხვავდება უნივერსიტეტის საქმიანობისგან, სადაც მათ უწევთ პროფესიული ცოდნის მიღება, კრიტიკული ანალიზის უნარის გამომუშავება, ლოგიკური აზროვნების განვითარება, რაც ხდება სხვადასხვა კვლევის ჩატარებისა თუ პრაქტიკული ვარჯიშის მეშვეობით. სტუდენტები ამბობენ, რომ ამ მხრივ, საუნივერსიტეტო საქმიანობა მათი მხრიდან დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს.

„არაა, საერთოდ არ უკავშირდება დავალებები, საერთოდ განსხვავებულია, ყველანაირად. ძირითადად სტატიების დაწერა ან რაღაც რეპორტაჟების მომზადება მიწევს და სამსახურში თამაშის წარმდგენის პოზიციაზე ვმუშაობ და ვერ ვუკავშირებ საერთოდ მე სამსახურს და უნივერსიტეტს ერთმანეთს.“ (ქალი,ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, თამაშის წარმდგენი, მესამე კურსელი, 21 წლის)

მეორე მხრივ იკვეთება ამგვარი ტენდენციაც: იმის მიუხედავად, რომ სტუდენტები არაკვალიფიციურ სამსახურებში არიან დასაქმებულნი, ისინი მაინც იღებენ მნიშვნელოვან სამუშაო გამოცდილებას და ზოგჯერ შეიძლება ეს ორი საქმე ერთმანეთს ეხმარებოდეს კიდეც. სტუდენტები საუბრობენ ხალხთან ურთიერთობებისა და კომუნიკაციის უნარების გაუმჯობასებაზე, რაშიც სამსახური დიდ როლს თამაშობს და ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, თუ როგორ ეხმარებათ ეს უნარები კარიერულ და საუნივერსიტეტო საქმიანობაში. ამგვარი ტენდენციის გამოკვეთისას, ყურადღება ექცევა სწორედ ამგვარ მოვლენებს. სტუდენტები რადგან ძირითადად სერვისის სფეროში არიან დასაქმებულნი, მათთვის მნიშვნელოვანია ის გამოცდილება, რასაც ხალხთან და კლიენტებთან ურთიერთობისას იღებენ. ისინი ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ხშირ შემთხვევაში მათ ხალხის დარწმუნება უწევთ და ეს უნარი მათ სამომავლო პროფესიაშიც გამოადგებათ.

„ჩემს შემთხვევაშიც არ უკავშირდება , მაგრამ მაინც რაღაც კავშირებს თუ ჩავუღრმავდები და კარგად დავფიქრდები, რადგან ხალხთან ურთიერთობა მიწევს, ხალხის დარწმუნება და პაციენტებთან ურთიერთობის დროსაც საჭიროა ხანდახან, რომ ემოციურად დაუდგე ადამიანს გვერდით რაღაც მომენტში უფრო მეტად, ვიდრე ვთქვათ მედიკამენტით და ამ დროს რაღაცეები უნდა შთააგონო ადამიანს ასე ვთქვათ, ანუ ეს კავშირი შეიძლება რომ იყოს.“ (ქალი, მედიცინის ფაკულტეტი, მაკლერი, მეოთხე კურსი, 22 წლის)

იმის მიუხედავად, რომ ხშირ შემთხვევაში სტუდენტთა სამსახური და უნივერსიტეტი ერთმანეთისგან ძალიან დაშორებულია, სტუდენტებისთვის სამსახურის გარეშე სწავლა მაინც რთულად წარმოსადგენია.

აღსანიშნავია ის, რომ ტრანსფერული უნარების განვითარება სტუდენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ხშირად ეს ნებისმიერი სახის სამსახურიში მიიღწევა. სტუდენტები განიხილავენ შემდეგ ტრანსფერულ უნარებს: მეტი ორგანიზებულობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, დროის უკეთესი მენეჯმენტი, ჩართულობა და კონცენტრირება, კომუნიკაციის უნარები და ა.შ. მათ მიაჩნიათ, რომ მსგავსი უნარების განვითარებისთვის სამსახური ერთ-ერთი ყველაზე კარგი ადგილია. იმის მიუხედავად, რომ სამსახურსა და უნივერსიტეტში შესრულებული დავალებები ერთმანეთს

აცდენილია, ეს არ აბრკოლებს სტუდენტებში მსგავსი ტრანსფერული უნარების განვითარებას.

„იმას ვიტყვი, რომ ძალიან განვივითარე ეს უნარ-ჩვევები სამსახურში, იმიტომ, რომ ახლა ვიცი ზუსტად, როდის უნდა ვიყო სამსახურში, როდის უნდა მეძინოს და როდის უნდა ვიმეცადინო და დავესწრო სემინარებს... მაგრამ ამას გასწავლის ზოგადად სამსახური და თავიდანვე ეჩვევი, ასე ვთქვათ, იმ პირობებს, რომელშიც მოგიწევს მერე ყოფნა და ზოგადად მაგ უნარების გამომუშავება ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ თან ისწავლო და იმუშაო და მომავალში წარმატებული იყო.“ (კაცი, მედიცინის ფაკულტეტი, თამაშის წარმდგენი, მეოთხე კურსი, 22 წლის)

მეორე მხრივ იკვეთება ტენდენცია, როცა სტუდენტებისთვის მსგავსი ტრანსფერული უნარების განვითარება არ არის მნიშვნელოვანი. სტუდენტები საუბრობენ მომატებულ სტრესზე, გადაღლილობასა და შემცირებულ თავისუფალ დროზე. ამგვარ პირობებში მათთვის ისეთი უნარების განვითარება, როგორიც მაგალითად დროის სწორი მენეჯმენტია, მეორეხარისხოვანი ხდება. ისინი თვლიან, რომ სრულ განაკვეთზე დასაქმების და უნივერსიტეტში სწავლის დროს, მსგავსი უნარების განვითარებისთვის დრო და ენერგია ნაკლებად რჩებათ. ამასთანავე, შეუძლებელია გადაღლილობის პირობებში კონცენტრაციის უნარებზე მუშაობა, დროის მენეჯმენტი ისეთ დროს, როცა ორი საქმიანობა ერთმანეთს ემთხვევა და მათი დაბალანსება შეუძლებელია და სხვ.

„ჩემზე ნაკლებად აქვს გავლენა, მაგრამ მაინც არის. აღნიშნულ გამოცდილებას მაძლევს მეც დროის მენეჯმენტში, მაგრამ ეს გამოცდილება დიდად არც მჭირდება, რომ არც მქონდეს, ალბათ უკეთესი იქნება იმიტომ, რომ უფრო მეტად ხელს უშლის ეს სწავლას და მე კიდევ უფრო მეტად სწავლა მჭირდება, ვიდრე ეს გამოცდილება.“ (კაცი, სოციოლოგია, მესამე კურსელი, ვოლტის პარტნიორი კურიერი, 21 წლის)

სტუდენტები, რომელთა სწავლის ხარისხიც დასაქმების გამო დაბლა იწევს, ნაკლებად არიან დაინტერესებულნი სხვადასხვა უნარების განვითარებით სამსახურში. მათ მიაჩნიათ, რომ დასაქმება უარყოფით გავლენას ახდენს მათ აკადემიურ მოსწრებაზე და ამგვარ შედეგს ვერ გადაფარავს ვერანაირი სხვა ტრანსფერული უნარის განვითარება. იმის მიუხედავად, რომ ამგვარი უნარები მათი სამომავლო კარიერისთვის გამოსადეგი

და მნიშვნელოვანიც კი იქნება. გამოდის, ბევრი სტუდენტი საჭიროებისამებრ ვერ იყენებს ტრანსფერულ უნარებს, ვერ ახდენს დროის მენეჯმენტს, ვერ იყენებს კონცენტრირების, ჩართულობის, კომუნიკაციის უნარებს უნივერსიტეტის საქმიანობებში.

„ანუ დროის გადანაწილებაში გვეხმარება და უფრო გვასწავლის, ანუ როგორ ვმართოთ ჩვენი დრო, ისე რომ ორივე საქმეს თანაბრად დავუთმოთ, ანუ მაგ მხრივ გვეხმარება, რა თქმა უნდა; მაგრამ, საბოლოო ჯამში, მაინც უარყოფითი გავლენა აქვს აკადემიურ მოსწრებაზე...“ (ქალი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, მესამე კურსელი, თამაშის წარმდგენი)

სტუდენტთა მიერ მათი აკადემიური მოსწრების შეფასება სამსახურის დაწყებამდე და მას შემდეგ

დისკუსიების დროს გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სტუდენტთა აკადემიური მოსწრება სამსახურის დაწყების შემდეგ გაუარესდა. ამის მთავარ მიზეზად სახელდება ისევ და ისევ დროის დეფიციტი. სტუდენტები ამბობენ, რომ ნაკლები დროის ქონის გამო, ისინი ცდილობენ, მხოლოდ მოცემული სასწავლო მასალა აითვისონ და აღარ აქვთ საკმარისი დრო იმისთვის, რომ დამატებითი ინფორმაცია და სიღმისეული ცოდნა მოიპოვონ, ეს ყველაფერი მათ აკადემიურ მოსწრებაზე უარყოფითად აისახება. ანუ, ასე გამოდის, სტუდენტები ცდილობენ ზედაპირულად მაინც შეძლონ მასალის შესწავალა. ამასთანავე, წინა მსჯელობებთან კავშირის მიხედვით, უმეტესად საგამოცდოდ, ანუ სიჩქარეში და არა თანმიმდევრულად, მთელი სემესტრის განმავლობაში. ამ შემთხვევაში, აკადემიურ მოსწრებაზე მეტად პრობლემურია კულტურული კაპიტალის დაგროვების პრობლემა, ანუ საკუთარ სპეციალობაში პროფესიული ცოდნის დეფიციტი. ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ სტუდენტები თავიანთი დროის უფრო მეტ ნაწილს სამსახურში ატარებენ და არა ლექცია/სემინარებზე. შესაბამისად, ეს განაპირობებს იმ ქულების დაკარგვას, რომელიც დასწრებასა და აქტიურობაში იწერება. ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, სტუდენტთა GPA დაბლა იწევს.

„ჩემს შემთხვევაშიც აისახა, რა თქმა უნდა, ანუ იმას ვგულისხმობ, რომ რასაც გავაკეთებდი და რამდენ დამატებით ინფორმაციასაც მოვიძიებდი და გავარკვევდი, მაგას

ველარ ვახერხებ, მაგის დრო აღარ მაქვს და იმაზე ვარ კონცენტრირებული, რომ ის ვისწავლო, რაც მოცემულია და ნუ ასეთ შემთხვევაში ხარისხიც ბევრად არა, მაგრამ შედარებით დაბალია იმასთან შედარებით, როცა არ ვმუშაობდი.“ (კაცი, მედიცინის ფაკულტეტი, თამაშის წარმდგენი, მეოთხე კურსი, 22 წლის)

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტუდენტები უფრო მეტად თავიანთ ქულებზე და დაწეულ GPA-ზე ამახვილებენ ყურადღებას, ვიდრე იმაზე, რომ მათი პროფესიული ცოდნე ხარისხს კარგავს გაცდენილი ლექცია/სემინარებისა და დაზეპირებული, გაუაზრებელი ცოდნის ხარჯზე. დროთა განმავლობაში სტუდენტთა მატერიალური შესაძლებლობების გაუმჯობესებასთან ერთად, უფასურდება მათი კულტურული კაპიტალი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მათი სამომავლო კარიერისთვის, სწორედ რომ მდიდარი და მრავალფეროვანი კულტურული კაპიტალის დაგროვებაა მნიშვნელოვანი.

პიერ ბურდიეს მიხედვით, დასახულ მიზანთა (სტრატეგიათა) მთელი სიმდიდრის, სიმრავლისა და მრავალსახეობის უკან სამი დიდი ჯგუფი, კაპიტალის სამი კატეგორია იმალება. კაპიტალი ეს არის საკუთარი და სხვისი ბედის კონტროლის უმთავრესი საშუალება და რესურსი. ბურდიე განიხილავს კაპიტალის ოთხ ძირითად სახეს, ესენია: ეკონომიკური კაპიტალი, კულტურული კაპიტალი, სოციალური კაპიტალი, სიმბოლური კაპიტალი. (ბერძენიშვილი, 2012)

როგორც ვხედავთ, პ. ბურდიეს მიხედვით ოთხ ძირითად კაპიტალს შორის კულტურული კაპიტალი ერთ-ერთია. კულტურული კაპიტალი ლეგიტიმური (საზოგადოებაში აღიარებული) ცოდნის სხვადასხვა სახეებს გულისხმობს. ესაა განათლება (საშუალო, პროფესიული, სპეციალური) და შესაბამისი დიპლომი. (ბერძენიშვილი, 2012)

როგორც ვხედავთ, ადამიანთა სოციუმში სრული და ხარისხიანი რეალიზაციისთვის აუცილებელია შესაბამისი კულტურული კაპიტალის დაგროვება, რაც უნდა ითქვას, რომ უხარისხო თეორიული ცოდნის მიღებით არ მიიღწევა. დასაქმება არა მარტო ახდენს უარყოფით გავლენას სტუდენტთა GPA-ზე, არამედ ხელს უშლის მათ კულტურული კაპიტალის დაგროვებაში, რაც მათი საზოგადოებაში სრულყოფილი ინტეგრაციისთვისა და სამომავლო კარიერის შექმნისთვის, აუცილებელია.

პროფესორებისა და უნივერსიტეტის მხარდაჭერა დასაქმებული სტუდენტების მიმართ და ამის ასახვა სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე

დისკუსიის დროს გამოიკვეთა საინტერესო ტენდენცია, უნივერსიტეტისა და პროფესორების მხრიდან დასაქმებულ სტუდენტთა მხარდაჭერაზე საუბრისას. სტუდენტები საუბრობენ თავიანთ გამოცდილებაზე და განიხილავენ იმ შემთხვევებს, როცა მსგავსი მხარდაჭერა მიუღიათ პროფესორებისა და უნივერსიტეტის მხრიდან. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს აძლევს საშუალებას, თავად შეადგინონ მათთვის ყველაზე კომფორტული და მოსახერხებელი სასწავლო ცხრილი. ამას სტუდენტები საგნების თავად არჩევით ახერხებენ. თუმცა სტუდენტებმა სწორედ საგანთა არჩევის უარყოფით მხარეებზე გაამახვილეს ყურადღება. პირველ რიგში, აღსანიშნავია საგანთა ჯგუფებზე არასაკმარისი ადგილები, რაც აბრკოლებს სტუდენტთა თავისუფალ არჩევანს და აიძულებს მათ, რომ არასასურველ კურსზე დარეგისტრირდნენ. კიდევ ერთი მიზეზი, რაც უნივერსიტეტის მხრიდან ამ შესაძლებლობის უარყოფით მხარეზე მიუთითებს არის ის, რომ სავალდებულო საგნების არჩევისას, სტუდენტებს საერთოდ არ აქვთ არჩევანის საშუალება. ძირითად შემთხვევაში, სავალდებულო საგანს კითხულობს ერთი ლექტორი, ერთ დროს. შეიძლება ითქვას, რომ ასეთ დროს, საგანთა არჩევის მოქნილობასა და კომფორტულობაზე საუბარი აზრსმოკლებულია.

ამ მიზეზების გამო სტუდენტებს არ მიაჩნიათ, რომ უნივერსიტეტი სხვადასხვა საშუალებებით დიდ როლს თამაშობს მათი დასაქმებისა და სწავლის ერთმანეთთან შეთავსების მხარდაჭერაში.

მეორე მხრივ, იკვეთება ტენდენცია, როცა დასაქმებული სტუდენტების ძირითადი მხარდამჭერები თავად პროფესორები არიან. სტუდენტსა და ლექტორს შორის კომუნიკაცია ამ შემთხვევაში ყველაზე დიდი დატვირთვის მატარებელია. დასაქმებული სტუდენტების მიმართ ლექტორებს არ გამოუხატავთ არანაირი საშუალებით მხარდაჭერა, როცა ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ. ეს ბუნებრივია. თუმცა იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი უხსნის მის სიტუაციას დასაქმებასთან დაკავშირებით ლექტორს, ხშირ შემთხვევაში ის გაგებით ეკიდება ამ საკითხს. სტუდენტთა ნაწილს აქვს

გამოცდილება, როცა პროფესორისგან მიუღია სხვადასხვა სახის მხარდაჭერა იმის გამო, რომ სწავლასთან ერთად დასაქმებულიც იყო. სტუდენტები ამბობენ, რომ ამგვარი მხარდაჭერა ძირითადად დავალების შესრულების ვადის გახანგრძლივებით გამოიხატებოდა. სტუდენტები უხსნიდნენ პროფესორებს, რომ სამსახურის გამო დავალების შესასრულებლად დამატებითი დრო სჭირდებოდათ. ამ ყველაფერს პროფესორების განსაზღვრული ნაწილი კი გაგებით ეკიდებოდა და სტუდენტებს შეღავათს უწევდა მათთვის ვადების გახანგრძლივებით. სტუდენტები თვლიან, რომ ამგვარი მხარდაჭერა მათ აკადემიურ მოსწრებაზე დადებითად აისახება.

„მე მითქვამს, მაგალითად, რომ სამსახურის გამო ვერ მოვახერხე, რომ ზუსტად იმ დროს მომეტანა დავალება, როცა უნდა მომეტანა და ამ დროს უთქვამს პროფესორს, რომ „კარგი, არაუშავს, ერთი კვირის მერე მომიტანე, არ არის პრობლემა“, ასეთი ყოფილა, თუმცა რამდენიმე ლექტორი, ყველა არა.“ (ქალი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, მესამე კურსელი, თამაშის წარმდგენი, 21 წლის)

ამასთან ერთად, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამგვარი ტენდენცია არ მჟღავდება ყველა შემთხვევაში. აუცილებლად უნდა ვახსენოთ ის, რომ დასაქმებულ სტუდენტთა მიმართ ლექტორთა ამგვარი დამოკიდებულება სრულიად ინდივიდუალურია. ლექტორთა ნაწილი საჭიროდ თვლის მსგავსი დამოკიდებულების გამომჟღავნებას და არა მარტო დავალების ვადების გახანგრძლივებით შემოიფარგლება, არამედ გაცდენებზე ხშირად თვალსაც ხუჭავს.

„მე მქონდა ეგეთი შემთხვევა, როცა ერთ-ერთ ლექციაზე, ლექტორს ვუთხარი, რომ სამსახურის გამო მიწევდა ბევრი გაცდენები, მას ჩემთვის ხელი შეუწყვია და დასწრებაში ქულა არ დაუკლია და იმის საშუალებაც მოუცია, რომ თუ ლექციაზე მისვლას ვერ ვასწრებდი, შემდეგ ლექციაზე ზუმის მეშვეობით ჩამებარებინა მისთვის, ასე რომ მე ხშირად მქონია ასეთი შემთხვევები...“ (კაცი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი, მესამე კურსელი, ქოლ-ცენტრის ოპერატორი, 21 წლის)

ამის საპირისპიროდ კი, ლექტორთა სხვა კატეგორია, სტუდენტთა დასაქმების კატეგორიული წინააღმდეგია და არ ფიქრობს, რომ სამსახური შეიძლება იყოს რაიმე შეღავათის გაწევის მიზეზი სტუდენტისთვის. მეტიც, ზოგიერთი სტუდენტის

გამოცდილებით, პროფესორები მათ ურჩევენ, რომ მხოლოდ ერთი საქმე აირჩიონ - ან უნივერსიტეტი, ან სამსახური - და მათი მთლიანი დრო და ყურადღება ერთ საქმიანობაზე დახარჯონ.

„ჩვენ, მაგალითად, დავალებები ძირითადად არ გვაქვს, ჩვენ ზეპირი თხრობის დავალება გვაქვს, ასე ვთქვათ, ანუ მასალას ვსწავლობთ და შემდეგ ვყვებით ამას და შესაბამისად, თუ არ ხარ მზად, არ აინტერესებს ლექტორს მიზეზი. ასე რომ, მსგავსი მხარდაჭერა ან შეღავათი არ ყოფილა.“ (ქალი, მედიცინის ფაკულტეტი, მაკლერი, მეოთხე კურსი, 22 წლის)

უნდა აღინიშნოს, რომ ლექტორთა ამგვარი დამოკიდებულება სტუდენტთა სწავლის მოტივაციასა და მათ აკადემიურ მოსწრებაზე უარყოფითად აისახება. სტუდენტები იმის გამო, რომ იციან თავიანთი ლექტორების დამოკიდებულება, დავალების ჩაუბარებლობის მიზეზთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში თუ მას უბრალოდ ვერ ასწრებენ, აღარ ცდილობენ მათთან დაკავშირებასა და ვადების გახანგრძლივების თხოვნას ან ამავე მიზეზით სულაც აცდენენ სემინარს. ეს ყველაფერი დაკლებულ ქულებზე და გაუარესბულ სწავლის ხარისხზე მიუთითებს.

სამსახურებრივი და აკადემიური პასუხისმგებლობების დაბალანსება ონლაინ და აუდიტორიული სწავლების პირობებში

ფოკუსჯგუფის მონაწილე სტუდენტებს ჰქონდათ როგორც აუდიტორიული სწავლების დროს, ისე ონლაინ სწავლების დროს დასაქმების გამოცდილება. მათ დისკუსიისას განიხილეს ის საკითხიც, თუ რამდენად განსხვავდება ამ ორი განსხვავებული მეთოდით სწავლების დროს სამსახურისა უნივერსიტეტის ერთმანეთთან შეთავსება. ამასთანავე, საინტერესოა ისიც, თუ რამდენად განსხვავდება სტუდენტთა დასაქმების გავლენები მათ აკადემიურ მოსწრებაზე აუდიტორიული და ონლაინ სწავლების პირობებში. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ონლაინ სწავლების დროს, უნივერსიტეტისა და სამსახურის დაბალანსება გაცილებით მარტივია, ვიდრე აუდიტორიული სწავლებისას. თუ შევადარებთ სტუდენტთა ქულებსა და აკადემიურ

მოსწრებას ონლაინ და აუდიტორიული სწავლების დროს, ვნახავთ, რომ ონლაინ ლექცი/სემინარების პერიოდში, მათი შეფასებები გაცილებით მაღალია, ისევე რგორც GPA. ის, თუ რამდენად მოქმედებს ამ ყველაფერზე მეტი გამოთავისუფლებული დრო და „ონლაინ გამოცდების სიმარტივე“ - ეს ცალკე საკითხია.

„მე მგონია, რომ ონლაინ სწავლების დროს უფრო მეტად იყო შესაძლებელი, რომ სამსახურთან შეგეწყო უნივერსიტეტი და სამსახურიდან ჩართულიყავი ლექცია/სემინარზე, ჩაგეტარებინა პრეზენტაცია და ა.შ. უფრო მარტივი იყო მაგ დროს. თან დროც გაცილებით მეტი გრჩებოდა ონლაინ სწავლების დროს.“ (ქალი, სოციოლოგია, საფორთი, მესამე კურსელი, 21 წლის)

გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ონლაინ სწავლების დროს სტუდენტთა ლექცია/სემინარებზე დასწრება არ წარმოადგენდა პრობლემას, ვინაიდან ეს თავისუფლად იყო შესაძლებელი სამსახურიდანაც კი. საინტერესოა, თუ რამდენად გვქონდა ამ დროს ლექციაზე ფორმალურ დასწრებასთან საქმე.

კვლევაში მონაწილე სტუდენტები ამბობენ, რომ ონლაინ სწავლება იძლევა საშუალებას, რომ ფიზიკური დასწრების გარეშე, ეს ორი საქმიანობა თუნდაც ერთდროულად გააკეთო და დაზოგო ის დრო, რომელიც აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას მოხმარდება.

„ონლაინ სწავლების დროს უფრო მაღალი შეფასებები მქონდა მეც. გამოცდების მხრივ, რა თქმა უნდა, უფრო მარტივად ვწერდი გამოცდებსაც, დასწრების ქულასაც უფრო მარტივად ვიღებდი და სამსახურთან შეფარდებითაც უფრო მარტივი იყო, მე მაგ პერიოდში სახლიდან ვმუშაობდი და თან ტელეფონში ლექცია მქონდა ჩართული და თან ვმუშაობდი...“ (ქალი, სოციოლოგია, საფორთი, მესამე კურსელი, 21 წლის)

ყველასთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ ონლაინ სწავლების დროს სტუდენტთა დასწრების გაკონტროლება არც თუ ისე მარტივია, ამის გამო, შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტები ამ შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებდნენ და დასწრების ქულებს ონლაინ სწავლების დროს არ კარგავდნენ, რაც აუდიტორიული სწავლების მეთოდის დროს შეიცვალა. ის უკვე ითქვა, რომ ამან ნამდვილად უარყოფითი გავლენა მოახდინა სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე. მეორე მხრივ, სტუდენტთა ფორმალური დასწრება

ონლაინ ლექცია/სემინარებზე კვლავ გაუფასურებულ ცოდნასა და უხარისხო სწავლებაზე მიუთითებს.

ასევე, სტუდენტების აზრით, ონლაინ სწავლების დროს მათი მაღალი ქულები განპირობებული იყო გამოცდების „სიმარტივით“. ეს ყველაფერი, კი რა თქმა უნდა, ონლაინ გამოცდის დროს საკითხების გადაწერაში გამოიხატება.

„...ონლაინ სწავლება იმით იყო უფრო ხელშემწყობი და უფრო კარგი, რომ უფრო მარტივი იყო გამოცდების დაწერა. GPA-ზე ისიც მოქმედებდა, რომ ლექციებს და სემინარებს უფრო მეტად ესწრებოდი, ვიდრე ლაივ რეჟიმში, ვინაიდან ვახერხებდი შესვლას, მეტი დრო გქონდა, თან მაინც უწყობდი და უთავსებდი სამსახურს, სამსახურიდანაც შეგეძლო დასწრება... ამიტომ ონლაინ სწავლების დროს უფრო კაი GPA მქონდა, პარალელურად როცა ვმუშაობდი...“ (ქალი, იურიდიული ფაკულტეტი, მოლარე-კონსულტანტი, მესამე კურსი, 21 წლის)

ტენდენციურად გამოვლინდა, რომ ამგვარი შედეგები კვლევაში მონაწილე ყველა სტუდენტთან გვაქვს. ონლაინ სწავლების მეთოდი ერთი მხრივ შეიძლება ბევრ დროს აძლევს სტუდენტს, თუმცა მეორე მხრივ, სტუდენტთა მხრიდან იზრდება ისეთი არაკეთილსინდისიერი საშუალებების გამოყენება, როგორებიცაა გადაწერა და ლექციაზე ფორმალური დასწრება. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი შეიძლება დადებითად აისახება ქულებსა და GPA-ზე, სტუდენტი აგროვებს კრედიტებს, თუმცა მისი ცოდნის ხარისხი და კულტურული კაპიტალი უფასურდება. ამ დროს სტუდენტი დაინტერესებულია ფორმალური დასწრებით და არა რეალური ჩართულობითა და აქტიურობით, სემინარზე მისი ინტერაქციის ხარისხი 0-ს უტოლდება. ონლაინ ლექცია სემინარების დროს დაზოგილი დრო არ ხმარდება აკადემიური მოსწრების ამაღლებასა და გაუმჯობესებას, რადგან ამ დროს სტუდენტს ეძლევა სხვა არაკეთილსინდისიერი საშუალებების გამოყენების გზით, კრედიტის „მარტივად“ მოპოვების საშუალება. შეიძლება ითქვას, რომ ონლაინ სწავლების დროს დასაქმების შემთხვევაში, სტუდენტი ახერხებს ფორმალური ქულების მოგროვებას, თუმცა არა მისი ცოდნის ხარისხის გაუმჯობესებას.

თავი 4. დასკვნა

კვლევის შედეგად ვლინდება ტენდენცია, რომ სტუდენტთა სრულ განაკვეთზე დასაქმება უარყოფით გავლენას ახდენს მათ აკადემიურ მოსწრებაზე და ზოგად პროფესიულ განვითარებაზე, ხელს უშლის მათ სასაწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართულობასა და აქტივობაში. ნახევარ განაკვეთზე მომუშავე სტუდენტებისთვის სამსახურისა და სწავლის შეთავსება გაცილებით მარტივია, რადგან მათ საკმარისი დრო რჩებათ როგორც ლექცია/სემინარებზე დასასწრებად, ისე მასალის თანმიმდევრული და ხარისხიანი ათვისებისთვის. კვლევამ აჩვენა, რომ თავისუფალი გრაფიკით მომუშავე სტუდენტებისთვის, სწავლისა და სამსახურის შეთავსება ყველაზე მეტად მოსახერხებელია, თავისუფლად არის შესაძლებელი სასწავლო და სამუშაო დღეების გადანაწილება და ამგვარი გრაფიკით მუშაობა არ არის დაკავშირებული აკადემიური მოსწრების გაუარესებასთან.

ემპირიული მასალიდან გამოიკვეთა, რომ სტუდენტები გარკვეული მიზეზების გამო არ საქმდებიან სწავლის პარალელურად იმ პროფესიით რომელსაც უნივერსიტეტში შეისწავლიან. ეს მიზეზებია: არასაკმარისი პროფესიული გამოცდილების ქონა და ასევე, მიზერული ანაზღაურება. აქედან გამომდინარე, სტუდენტებისთვის ხშირ შემთხვევაში მისაღებია არაკვალიფიციური პროფესიით დასაქმება, რომლის საშუალებითაც შეძლებს იმ თანხის გამომუშავებას, რაც ცხოვრების ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის საკმარისი იქნება. იკვეთება ტენდენცია, რომ მატერიალური უზრუნველყოფა სტუდენტთა დასაქმების დროს მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე მათთვის პროფესიული გამოცდილების დაგროვება, თუნდაც დაბალი ანაზღაურების პირობებში. გამოკვეთილი ტენდენციის მიხედვით, სწორედ ამგვარი მიზეზების გამო ცდება ერთმანეთს სტუდენტთა სამუშაო სფერო და მათი სპეციალობა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ერთდროულად სტუდენტთა დასაქმებისა და უნივერსიტეტში სწავლის დროს რამდენიმე ძირითადი სირთულე იქმნება. ემპირიული მონაცემების მიხედვით პირველ რიში ამგვარ სირთულეს წარმოადგენს დროის დეფიციტი და სამსახურისა და უნივერსიტეტის გრაფიკების შეუთავსებლობა. სტუდენტებისთვის ეს ძირითადი და ყველაზე მეტად რთულად მოსაგვარებელი პრობლემაა, რადგან კვლევის მონაცემების მიხედვით, სრულ განაკვეთზე მუშაობა და

სწავლის შეთავსება მათგან ძალიან დიდი ენერგიას მოითხოვს და ამასთანავე, ეს ყოველთვის მიღწევადი არ არის. არანაკლებ მნიშვნელოვანია გადაღლილობისა და უენერგიობის პრობლემა სტუდენტებისთვის. ახალგაზრდები ორი საქმიანობის ერთდროულად კეთებისას ბევრ გამოწვევას უმკვლავდებიან, რაც რა თქმა უნდა, მათ ფიზიკურ თუ მენტალურ გამოფიტვას იწვევს. სტუდენტებისთვის კი გადაღლილობისა და უენერგიობის ფაქტორი მათ აკადემიურ მოსწრებაზე უარყოფითად მოქმედებს და ეს ლექცია/სემინარების გაცდენაში და დავლებების შეუსრულებლობაში გამოიხატება.

სხვადასხვა სამუშაო გრაფიკის უნივერსიტეტის გრაფიკთან შეთავსების თვალსაზრისით, გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, ღამის ცვლაში და 24-საათიანი გრაფიკით მუშაობის დროს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრება ყველაზე მეტად ზარალდება. ეს ყველაფერი კი გამოწვეულია დროის დეფიციტის, გამოუძინებლობისა და გადაღლილობის გამო. მეორე მხრივ, სტუდენტთა დასაქმება სწავლასთან შეთავსების თვალსაზრისით ყველაზე მეტად კომფორტულია მცოცავი და თავისუფალი გრაფიკით. ამას განაპირობებს ამ გრაფიკთა მოქნილობა და მეტი თავისუფალი დრო სტუდნტებისთვის.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ტენდენცია, რომ დამსაქმებლის როლი სტუდენტთა აკადემიური საქმიანობის ხელშეწყობაში არც თუ ისე დიდია. ძირითად შემთხვევაში ამგვარი მხარდაჭერა გამოიხატება დასაქმებულებს შორის ცვლების გადაცვლის შესაძლებლობაში და გამოცდების დროს დასაქმებული სტუდენტების გათავისუფლებაში, თუმცა მხოლოდ გაცდენილი საათების ანაზღაურების პირობით. კვლევის შედეგად ვლინდება ის, რომ დასაქმებული სტუდენტები ცდილობენ დაეხმარონ ერთმანეთს ცვლების გადაცვლით და სწავლასთან შეთავსების თვალსაზრისით ყველაზე მეტად ოპტიმალური გრაფიკი ააწყონ.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სამსახურებრივი და საუნივერსიტეტო საქმიანობების სრული დაბალანსება ძალიან რთული და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიც კია. ამ ყველაფრის ასახვე ხდება ისევ და ისევ სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე, თანაც უარყოფითად. ამ ორ საქმიანობას შორის ბალანსის არარსებობა გულისხმობს გაცდენილ ლექცია/სემინარებსა და არასრულყოფილად,

არათანმიმდევრულად მომზადებულ თეორიულ მასალას, რაც საბოლოო ჯამში სწავლის ხარისხს კიდევ უფრო მეტად აუფასურებს.

გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სტუდენტთა შეფასებებსა და ლექტორთა უკუკავშირში მნიშნელოვანი განსხვავებებია სამსახურის დაწყებამდე და მას შემდეგ. ამგვარი განსხვავებები უარყოფითად აისახება მათ საერთო აკადემიურ მოსწრებაზეც. სრულ განაკვეთზე დასაქმებული სტუდენტისთვის, სწავლასა და სამსახურს შორის ბალანსის არ ქონა, დროის დეფიციტი და გადაღლის ფაქტორი დიდ როლს თამაშობს სწავლის ხარისხის გაურესებაში. იგივე ტენდენცია არ ვლინდება თავისუფალი გრაფიკით დასაქმებულ სტუდენტთა შორის, რომლებიც ორი საქმიანობის დაბალანსებას ახერხებენ და თავიდან იცილებენ მსგავს უარყოფით ზეგავლენებს.

გამოიკვეთა ტენდენცია, რომ დასაქმებულ სტუდენტთა მიმართ მხარდაჭერა უნივერსიტეტისა და ლექტორების მხრიდან დადებითად აისახება სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე. ლექტორების მხრიდან სტუდენტთა დასაქმების გათვალისწინება ხშირ შემთხვევაში გამოიხატება მათ მიერ დავალბებების ვადების გახანგრძლივებით და ხშირად გაცდენებზე თვალის დახუჭვითაც კი. ამგვარი დამოკიდებულება სტუდენტთა მოტივაციაზე დადებითად მოქმედებს და უბიძგებს მათ ამგვარი შესაძლებლობების გამოყენებისკენ. მეორე მხრივ, იკვეთება ტენდენცია, რომ სტუდენტთა მხარდაჭერა უნივერსიტეტის მხრიდან, რაც საგნების არჩევის თავისუფლებით გამოიხატება, მხოლოდ ფორმალურია. პირველ რიგში, ეს ჯგუფებში მუდმივად არასაკმარისი ადგილების რაოდენობის გამო და კიდევ, სავალდებულო საგნის მხოლოდ ერთ კონკრეტულ დროს დანიშნვნით გამოიხატება. ამგვარი არჩევანის საშუალება სტუდენტთა საუნივერსიტეტო გრაფიკს ვერც კომფორტულობას და ვერც მოქნილობას ვერ ანიჭებს, არამედ პირიქით, ამ მიზეზებიდან გამომდინარე, მას შეიძლება სულ სხვანაირი გრაფიკის შედგენა მოუწიოს.

მეორე მხრივ იკვეთება ტენდენცია რომ ლექტორთა კარგი ან ცუდი დამოკიდებულება დასაქმებული სტუდენტების მიმართ, არის სრულიად ინდივიდუალური და დამოკიდებულია მთლიანად მათზე. ზოგიერთ შემთხვევაში ხდება სამსახურის ფაქტორის გათვალისწინება, ზოგიერთ შემთხვევაში კი, ლექტორთა დამოკიდებულება დასაქმებული სტუდენტების მიმართ კატეგორიულიც კი არის. ისინი

სტუდენტებისგან მხოლოდ ერთ საქმეზე ორიენტირებას მოითხოვენ - ან სწავლაზე, ან სსამსახურზე.

კვლევამ აჩვენა, რომ დასაქმების გავლენა აკადემიურ მოსწრებაზე განსხვავდება ონლაინ და აუდიტორიული სწავლების პირობებში. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სტუდენტთა ქულებსა და ზოგად აკადემიურ მოსწრებაზე სამსახურის გავლენა გაცილებით ნაკლები იყო ონლაინ სწავლების პირობებში. ამის მიზეზად სახელდება მეტი თავისუფალი დროის ქონა და ონლაინ ლექცია/სემინარებზე დასწრების მოქნილობა ანუ ის შესაძლებლობა, რომ ნებისმიერი ადგილიდან არის შესაძლებელი დასწრება. სტუდენტებისთვის ასეთ შემთხვევაში მეტად მარტივი იყო დასწრება/აქტიურობის ქულების მოპოვება. მეორე მიზეზად სახლედება ონლაინ გამოცდების „სიმარტივე“, რაც ნათელია, რომ დაკავშირებულია გადაწერის საშუალების არსებობასთან. ამ მხრივ, იკვეთება ტენდენცია, რომ ონლაინ სწავლების პირობებში დაგროვებული ქულები და კრედიტები უფრო მეტად ფორმალურია და არ ასოცირდება თავისთავად სწავლის კარგ ხარისხთან. არაკეთილსინდისიერი საშუალებების გამოყენების ხარჯზე ქულებისა და კრედიტების დაგროვება კი განაპირობებს ონლაინ სწავლების დასაქმებასთან შეთავსების სიმარტივეს, აუდიტორიული სწავლების მეთოდთან შედარებით. ამ ყველაფრის ფონზე, მნიშვნელოვანია ის, რომ სწავლების ხარისხისა და კულტურული კაპიტალის გაუფასურება ონლაინ სწავლების დროს, ნაკლებად ასოცირდება დასაქმებასთან. ასეთ შემთხვევაში დასაქმების გავლენები უფრო მცირეა. სხვაგვარი ტენდენცია იკვეთება ადუიტორიული სწავლების პირობებში, როცა ისეთ არაკეთილსინდისიერი საშუალებების გამოყენება კრედიტების დასაგროვებლად აღარ არის შესაძლებელი, როგორიც ონლაინ სწავლების დროს შეიძლებოდა. ასეთ შემთხვევაში სწავლის ხარისხის გაურესებაში დიდ როლს თამაშობს სამსახურისთვის დათმობელი მეტი დრო და სტუდენტთა ზოგადი გადაღლის ფაქტორი.

გამოყენებული ლიტერატურა

Holmes, V. (2008). Working to live: why university students balance full-time study and employment. Education+ Training.

Pike, G. R., Kuh, G. D., & Massa-McKinley, R. C. (2008). First-year students' employment, engagement, and academic achievement: Untangling the relationship between work and grades. NASPA journal, 45(4), 560-582.

Tessema, M. T., Ready, K. J., & Astani, M. (2014). Does part-time job affect college students' satisfaction and academic performance (GPA)? The case of a mid-sized public university. International Journal of Business Administration, 5(2), 50.

ვერულავა, თ., ჯილბორდი, ა. (2018). დასაქმებული სტუდენტების ჯანმრთელობის მდგომარეობა და სტრესი. ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 4(1), 24-37.

ცერცვაძე, თ. (2021). სტუდენტური დასაქმება და მასთან დაკავშირებული გამოწვევები. საქართველოს ეკონომიკა.

https://geoeconomics.ge/?p=13838

Jez, S. J., & Wassmer, R. W. (2015). The impact of learning time on academic achievement. Education and Urban Society, 47(3), 284-306.

ბარამიძე, თ., აკოფაშვილი, თ., მშვიდობაძე, ს., ბეროშვილი, ა., ქაფიანიძე, შ., ფაღავა, ა. (2015). სტუდენტთა დასაქმების პრობლემები. კვლევა სახელმწიფო უნივერსიტეტში. Intermedia.ge

Creed, P. A., French, J., & Hood, M. (2015). Working while studying at university: The relationship between work benefits and demands and engagement and well-being. Journal of Vocational Behavior, 86, 48-57.

Carney, C., McNEISH, S., & McCOLL, J. (2005). The impact of part time employment on students' health and academic performance: a Scottish perspective. Journal of further and higher education, 29(4), 307-319.

ბერძენიშვილი, ა. (2012). პიერ ბურდიეს სოციოანალიზის ძირითადი კატეგორიები. Socium.ge.